საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 47 (591) ოთხშაბათი, 10 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 8 მარტს შრომა-კამანის მიმართულებით დილის 8 საათისათვის ჩვენს პოზიციებს ცეცხლი დაუშინა საბრძოლო მანქანამ, რომელიც მალევე მიიმალა. ამის შემდეგ მდინარე გუმისთის ფრონტზე სიმშვიდე ჩამოვარდა.

ნაშუადღევს მოწინააღმდეგემ ქვემო ეშერაში არსებულ ლაბორატორიასთან საბრძოლო პოზიციებზე გამოიყვანა ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებსა და ქალაქ სოხუმს. რამდენიმე ჭურვი მოხვდა რუსეთის სამხედრო უწყების კუთვნილ მრავალსართულიან სახლს. შენობა დაზიანდა, ერთ-ერთ სართულზე გაჩნდა ხანძარი, რომელიც ლიკვიდირებული იქნა ქართველი მეხანძრეების მიერ. წინასწარი მონაცემებით, არიან მსუბუქად დაჭრილები. ამავე დროს ქალაქის თავზე დიდ სიმაღლეზე რამდენჯერმე გამოჩნდა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები.

16-17 საათისათვის გუმისთის გაღმა მხარეს შეიმჩნეოდა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გადაადგილება. საქართველოს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ სეროიზულ საპასუხო ცეცხლს. დაახლოებით 19 საათისათვის შემჩნეული იქნა მოწინააღმდეგის მებრძოლთა ჯგუფის მოძრაობა. აღნიშნულ ჯგუფს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაუხსნეს ცეცხლი და მიაყენეს საგრძნობი ზარალი. მოგვიანებით შემჩნეული იქნა, რომ აფხაზებს თავისი დაღუპული და დაჭრილი მეომრები გადაჰყავდათ სასწრაფო დახმარების მანქანებით.

20 საათსა და 30 წუთისთვის მოწინააღმდეგემ კვლავ გახსნა საარტილერიო ცეცხლი სოხუმის მიმართულებით, ქალაქის ახალ რაიონში აფეთქდა რამდენიმე ჭურვი, დაიღუპა ერთი მოქალაქე.

2 საათისათვის ჩვენი პოზიციების მხარეს შემჩნეული იქნა დელტოპლანი.

ოჩამჩირის რაიონში დღეს საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, იყო მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათის პოზიციური ბრძოლები.

** იოსებ გოგეჩია.**

●

უსახსროდ — საზღვარზე

ცნობილი გახდა, რომ ბოლო დროს სეპარატისტებმა ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ლიძავას ქართული ეროვნების მცხოვრებლები აიძულეს გაეყიდათ სახლები. ისინი კი, ვინც წინააღუდგა ამას, ძალით გააძევეს სოფლიდან. 7 მარტს ისინი ავტომანქანებით გააგზავნეს ადლერის მიმართულებით. გზაში აფხაზმა სეპარატისტებმა გააჩერეს ავტოკოლონა და გაძარცვეს ლტოლვილები, ამჟამად 85 კაცი, ძირითადად ქალები და ბავშვები, იმყოფებიან რუსეთის ტერიტორიაზე საქართველო-რუსეთის საზღვრის ახლოს და ყოველგვარ საარსებო სახსარს მოკლებულნი დახმარებას ითხოვენ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი: სადაგი დღეები 1993 წლის 9 მარტი

რუსეთი — მოწყალე თუ მოძალადე?

ახე კონკრეტულად დაუსვა კითხვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის განხილვისას მომხსენებელს — რესპუბლიკის ვიცე-პრემიერს რომან გოცირიძეს ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომელზეც წინასწარ ვიტყვი, ასეთივე ლაკონური პასუხი მიიღო — ერთიც და მეორეც. თითქოს ამ კითხვა-პასუხში, როგორც ფოკუსში, მოექცა ამ დღეს განსახილველი ერთ-ერთი მწვავე საკითხის — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელი დედააზრი.

მაგრამ ეს დღის წესრიგის მეორე საკითხის („პარტიული დებატები თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის შესახებ“) განხილვის დროს იყო. მანამდე კი პირველ საკითხზე — „ჩრდილო ოსეთის უზენაესი საბჭოს 1993 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების შესახებ“ — გამოვიდა ბატონი შალვა ნათელაშვილი. სესია კი გაიხსნა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემი წუთიერი დუმილით.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დღეს, სხვა დღეებისაგან განსხვავებით, პარლამენტი დღის წესრიგის დაცვით მუშაობდა, რასაც, როგორც დადებით მოვლენას, საგანგებოდ გაუსვა ხაზი პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ.

სესიის პირველ საკითხზე პარლამენტარები ძირითადად ერთსულოვანნი იყვნენ, რომ ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა, იგი რუსეთის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ, მის მიერ აგრე ენთუზიაზმით მიღებული გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სუვერენულ რესპუბლიკად ცნობის შესახებ თავისთავად, მიღებისთანავე ბათილია (რა მალე დაავიწყდათ ჩრდილო ოსეთის ხელისუფალთ, ინგუშეთთან კონფლიქტის დროს ერთ-ერთ პირველ პოტენციურ საიმედო თანამდგომთა შორის ერთმორწმუნე საქართველო რომ იგულეს). აღინიშნა, რომ რუსეთს ეს გადაწყვეტილება არ გაუუქმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასაც ამ საკითხთან დამოკიდებულებაში იგივე პოზიცია უპირავს.

ამიტომ გადაწყდა: საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მთავრობას გაუგზავნოს განცხადება, სადაც გამოხატავს თავის პოზიციას ამ ფაქტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით, რუსეთის ანალოგიურ სამინისტროს გაეგზავნება საპროტესტო ნოტა.

რუსეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის შესახებ დებატები სრულიად მოულოდნელად ძალზე მშვიდად, ყოველგვარი ვნებათა ღელვის გარეშე დაიწყო, ბატონმა გივი თუმანიშვილმა ეს იმით ახსნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ყველა მხარეს გამოთქმული აქვს თავისი აზრი, ყველამ ყველას პოზიცია კარგად, ამომწურავად იცის (ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მიკროფონთან მისული პარლამენტარი რას იტყოდა, დარბაზში წინდაწინ ყველამ იცოდა), ამიტომ, მეტ-ნაკლებად საჭირბოროტო საკითხის განხილვისათვის დამახასიათებელი შფოთი ამ დღეს ვერ ვიხილეთ.

მომხსენებელმა რომან გოცირიძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ძირითადად ეკონომიკურ ჭრილში, განიხილა. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სამ ძირითად ხელშეკრულებას, რომლის რუსეთთან დადება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს არის: 1. ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების დანაწილების შესახებ; 2. ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემის და 3. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები.

რუსეთმა აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერისგან შესაძლოა თავი შეიკავოს „დიდი ხელშეკრულების“ დადებამდე, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საუბარი შეეხო სამანეთო ზონაში დარჩენა-არდარჩენის საკითხს. ითქვა, რომ მიზანშეწონილია დროებით შემოღებულ იქნას შუალედური ვალუტა, რომელმაც თავის თავზე უნდა მიიღოს ჩვენში საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ყველა დარტყმა, სიძნელე.

ბატონმა ვიცე-პრემიერმა ერთ წინადადებაში ასე ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია: როდესაც მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი შესაძლებელ პოლიტიკურ ზარალზე მეტია, ხელშეკრულება უნდა დაიდოს.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ ვიცე-პრემიერის გამოსვლამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რადიკალურად ეკონომიკურ ზონაში მოაქცია. პრობლემათა არეალი კი უფრო ვრცელია.

პოზიციები რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თაობაზე ძირითადად სამად შეიძლება გაიმიჯნოს: დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც ამჟამად მზად არის; დაიდოს სხვაგვარი ხელშეკრულება და არ დაიდოს არანაირი ხელშეკრულება.

ამაში დიდი ფილოსოფია არ დევს, ეს ყოფითი პრაქტიკის დონეა, და დიდი პარლამენტური მუშაობის დიდ გამოცდილებას არ საჭიროებს.

გარეგნულად მშვიდი დებატები ნელ-ნელა ძლიერი შინაგანი მუხტით დაიძაბა. ეს ძალუმად გამოჩნდა ბატონ დავით ბერძენიშვილის გამოსვლაში. მან საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულება განიხილა არა მხოლოდ როგორც ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი, არამედ როგორც ჩვენი საშინაო პრობლემების (აფხაზეთი, სამაჩაბლო, აჭარა, „შესაძლებელია ამდაგვარი პრობლემები კიდევ გაჩნდეს“) მამოძრავებელი ძალა.

ჩვენი ხელისუფლების აქამომდელმა კურსმა, — თქვა მან, — ჩვენი შინა პრობლემების მოგვარება რუსეთის მეშვეობით — არ გაამართლა. ფაქტია: ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა კრიზისი. ამიტომ, იგი უნდა შევცვალოთ. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გამოიკვეთოს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც ძირითადად წარმართავს პოლიტიკას. აუცილებელია აგრეთვე, ოპოზიციის გაფორმებაც, როგორც სტრუქტურის ნაწილის, რომელიც უმრავლესობასთან ითანამშრომლებს. საჭიროა სტრუქტურულად ჩამოყალიბდეს ჩვენი ხელისუფლება, რათა ყველას დაეკისროს კონკრეტული პასუხისმგებლობა კონკრეტულ საქმიანობაზე.

— კი, ურუსეთოდ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი პრობლემების მოგვარება, მაგრამ ამ ფაქტთან შეგუება ყველაზე დამღუპველი იქნებოდა ჩვენთვის,— განაცხადა ბატონმა ივლიანე ხაინდრავამ. — ამიტომ, ჩვენ არჩევანი არ გვაქვს. უნდა დავიკავოთ მტკიცე პოზიცია და მსოფლიო საზოგადოებას დავანახოთ ჩვენი უკანდაუხეველი სწრაფვა სუვერენიტეტისკენ. რუსეთის რეაქციული ძალების განწყობილებების მიხედვით ჩვენი პოლიტიკის აგება გვეყოფა.

უფრო მწვავე იყო ქალბატონ თამარ ჩხეიძის გამოსვლა, რომელმაც პირდაპირ მოითხოვა რუსეთის აგრესიის ხაზგასმა. ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობის გამოყენება.

რუსეთთან ლოიალური დამოკიდებულების მოთხოვნით გამოვიდნენ ბატონი გურამ მუჩაიძე („პატარა ერებს მოეთხოვებათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოქნილი მეთოდების ძიება“), ქალბატონი ნესტან კირთაძე („ხელშეკრულებაში აბსოლუტურად დაცულია საქართველოს სუვერენული უფლებები. მას ამ მხრიდან საფრთხე არ ემუქრება“).

დებატები გვიანობამდე გაგრძელდა.

სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ.**

ხელოვნების სამყაროში აღიარებულია: წარმატების მოპოვება ძნელია, მისი შენარჩუნება კი — ათგზის უფრო ძნელი. პოლიტიკაშიც დაახლოებით აგრე გამოდის — დამოუკიდებლობა ძნელად მოიპოვება, მისი შენარჩუნება კი გაცილებით რთული ყოფილა. ჩვენი გაუსაძლისი ყოველდღიურობა, ჩვენი სამაჩაბლოს სატკივარი, ჩვენი გადახსნილი არტერია — აფხაზეთია ამის მწარე დასტური. მაგრამ ალბათ, უნდა გავუძლოთ. რადგან, ჩვენ გადასატანს სხვა არავინ გადაიტანს. კაცმაც და ერმაც თავის წილი ჯვარი თვითონ უნდა იტვირთოს.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

ნომერში

⊙ აჭარა: ერთგულების, თანადგომის მადლი და სიკეთე. 3

⊙ „ვერცხლის დათვი“ — ათი წლის შემდეგ. 4

რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

ღრმად პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

1992 წლის 9 ოქტომბერს ქალაქ ბიშკეკში ხელმოწერილი ერთიანი ფულადი სისტემის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმებისა და იმ სახელმწიფოთა შეთანხმებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შესაბამისად, რომლებმაც შეინარჩუნეს მანეთი კანონიერ საგადამხდელო საშუალებად, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს 1993 წლის 7 იანვრის ორმხრივი შეთანხმებით, რუსეთმა იკისრა ვალდებულება საქართველოს მოთხოვნილება უზრუნველყოს ნაღდი ფულით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს უკვე მეოთხე თვეა არ მიუღია ფულის ნიშნები, რომლებიც გათვალისწინებულია საკასო ბრუნვის პროგნოზული ანგარიშებით, რაც დროულად გადაეცა რუსეთის ცენტრალურ ბანკს, აგრეთვე ფულის ნიშნების თაობაზე განაცხადებით.

რესპუბლიკაში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა ხელფასების, პენსიების, დახმარებების, სტიპენდიების გაცემასთან, დამზადებისა და სხვა საჭიროებისათვის აგრარული სექტორის მუშაკთა შრომადღეების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

დღეისათვის ნაღდი ფულის საერთო დავალიანება გამოანგარიშებით შეადგენს 60 მილიარდ მანეთს, აქედან:

— 1992 წლის დეკემბერში — 10 მილიარდ მანეთს, აქედან ხელფასისა და პენსიების მიხედვით — 8 მილიარდ მანეთს;

— მიმდინარე წლის იანვარში — 16 მილიარდ მანეთს, აქედან ხელფასისა და პენსიების მიხედვით — 12 მილიარდ მანეთს;

— თებერვალში — 14 მილიარდ მანეთს, აქედან ხელფასისა და პენსიების მიხედვით — 10 მილიარდ მანეთს.

დავალიანების დანარჩენი თანხა მოდის მიმდინარე თვის გადახდაზე.

გთხოვთ დახმარებას, რათა საქართველოს გამოეყოს 60 მილიარდი მანეთი ნაღდი ფული, რომელიც საქართველოს არ მიუღია 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის მარტის ჩათვლით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება: მეოთხე რაუნდი

9 მარტს მოსკოვში დაიწყო ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი დიდი ხელშეკრულების მომზადების თაობაზე საქართველოსა და რუსეთის სამთავრობო დელეგაციების სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი. იგი მოიცავს თანამშრომლობის ყველა ასპექტს — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს, სამეცნიეროს და ა. შ. მხარეები განაგრძობენ მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ცალკეულ პუნქტებზე, რათა მისი საბოლოო ვარიანტი დასამტკიცებლად წარუდგინონ საქართველოს და რუსეთის პარლამენტებს.

ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, წარმოდგენილია საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკებით, სამხედრო ექსპერტებით, იურისტებით, ეკონომისტებით, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებით.

როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, მოსკოვის შეხვედრის ყურადღების ცენტრშია საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ფორმირებათა სამართლებრივი სტატუსის შესახებ სამხედრო შეთანხმებათა პაკეტის განხილვა, აქ რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ფუნქციონირების პირობები, საქართველოსათვის რუსეთის არმიის სამხედრო ქონების გადაცემა, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის გრაფიკი, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფა, მათი სოციალური დაცულობა და სხვ.

მოლაპარაკების დღის წესრიგშია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის პერსპექტივა. ამ დარგში მთელ რიგ დოკუმენტებზე მუშაობა პრაქტიკულად დამთავრდა. უნდა განიხილონ მხოლოდ ზოგიერთი პუნქტი სავაჭრო რეჟიმის, ფულად-საფინანსო ურთიერთობის, მიმდინარე წლისათვის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. გაგრძელდება მიწისზედა, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის, საბაჟო რეჟიმის შესახებ და სხვა შეთანხმებების განხილვა.

ნავარაუდევია, რომ მოსკოვში საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი ორ კვირას გაგრძელდება.

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **სახალხო** მოხმარების საქონლის საწარმოო კოოპერატივმა „გედმა“ გადარიცხა 30 000 მანეთი.

⊙ **თბილისის** საბურთალოს რაიონის სურსათვაჭრობის № 3 მაღაზიის დირექტორმა დავით სულხანიშვილმა თავისი პირადი სახსრებიდან ფონდში გადარიცხა 10 000 მანეთი.

⊙ **საქართველო**-იტალიის ასოციაცია „საიტ“-მა ფონდში გადარიცხა 100000 (ასი ათასი) მანეთი.

⊙ **კასპის** სასურსათო კომბინატმა გადარიცხა 1000000 (ერთი მილიონი მანეთი).

გარდა ამისა, კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ პირადი დანაზოგები.

აჭარა...



დღეს იგი შრომობს და იბრძვის იმისათვის, რომ დაანახოს დედა-საქართველოს ერთგულების, თანადგომის მადლი და სიკეთე, კიდევ უფრო მოგვანატროს ყველას ესოდენ მონატრებული სიმშვიდე, წესრიგი, შრომა, თავდადება და ბოლოს, გაგვიღვიძოს ელემენტარული პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც უნდა ჰქონდეს თითოეულ ჩვენგანს მამულის ესოდენი შეჭირვების ჟამს.

როგორ ცხოვრობს, როგორ ილწის დღეს აჭარა? სწორედ ამაზე მოგითხრობთ ჟურნალისტ გია ქელიძის პუბლიკაციათა ციკლი.

დღეს ქართული ფლოტის, ქართველი მეზღვაურების შრომაზე, პრობლემებსა და პერსპექტივაზე მოგითხრობთ.

(იხ. მე-3 გვ.).

სხვა გაზეთებიდან

ომი უნდა დამთავრდეს

პეტრე ჩხეიძის ინტერვიუ „ვეჩერნაია მოსკვას“ კორესპონდენტს ვ. ჩაავას

— ბატონო ჩხეიძე, ყველასათვის, ვინც ცოტათი მაინც არის დაინტერესებული პოლიტიკით, ცხადია, რომ სიტუაცია საქართველოში მეტად რთულია. სად უნდა ვეძიოთ ამ ტრაგიკულ მოვლენათა სათავეები?

— საკითხის ძალზე გამარტივება იქნებოდა, ყველა ჩვენი უბედურება რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას რომ დავდოთ ბრალად. თუმცა, მან თავისი გაუაზრებელი მოქმედებით ძალზე ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკაში სიტუაციის დესტაბილიზაციისათვის, მაგრამ ყველაფერი უფრო დიდი ხნით ადრე დაიწყო.

საქართველომ გაცილებით ადრე, იქნებ პირველმაც კი დაიწყო აქტიური განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჯერ კიდევ ძალმოსილნი იყვნენ კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, მოძრაობა კი დღითი დღე ძლიერდებოდა. უკვე მაშინვე საქართველოში მეტად ძლიერი იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, კრემლიდან პარტიული ზედაფენების წარმომადგენლები გვაფრთხილებდნენ, და მე ამის მოწმე ვარ, რომ საქართველოს, რა თქმა უნდა, შეუძლია გახდეს დამოუკიდებელი, მაგრამ მოუწევს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის დათმობა. ეს იყო 1988 წელს. მათი ემისრები ჩადიოდნენ სოხუმში, ცხინვალში და მოუწოდებდნენ გარკვეულ წრეებს წამოეწყოთ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოსაგან თავის დაღწევის მიზნით“. ახლა ცხადია, რომ მათ ამ მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია, მე ვიცი ამ ადამიანების ვინაობა, მაგრამ ღირს კი ახლა ამაზე ლაპარაკი?

— როცა მოსკოვსა და კრემლს ახსენებთ, მხედველობაში ყოფილი კავშირის ხელისუფლების, ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზედა ეშელონები გყავთ?

— დიახ, სწორედ ისინი. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ კრემლი, როცა ეს ტერმინი პოლიტიკური თვალსაზრისით იხმარება, რუს ხალხთან გააიგივონ. ისინი კი, ვინც ჩვენთან „განსაკუთრებული მისიით“ ჩამოდიოდა, სომხეთშიც ჩადიოდა და აზერბაიჯანშიც. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა, მზადდებოდა „შენელებული მოქმედების ნაღმები“.

— მიგაჩნიათ, რომ სწორედ ასეთი „ბომბები“ აფეთქდა ცხინვალშიც და სოხუმშიც?

— სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პრობლემები არასდროს წამოჭრილა. არ ყოფილა იქ ასეთი მოძრაობა, მაგრამ მიზანმიმართულად ეძებდნენ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ ემუშავათ ამ მიმართულებით, და მათ ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ. აფხაზეთში კი პრობლემები ყოველთვის იყო, მაგრამ თუ ყურადღება მიაქციეთ, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გარკვეული კანონზომიერება არსებობდა. საოცარია: ეს პრობლემები ყოველ ათ წელიწადში იჩენდა თავს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველ ათ წელიწადში იწურებოდა პირველი პირების მუშაობის ორი ვადა ავტონომიურ რესპუბლიკაში, დგებოდა ახალი არჩევნების დრო. ძველ სტრუქტურებში კორუფცია ზემოდან იწყებოდა, ვისაც თანამდებობა ეკავა, კარგადაც ის ცხოვრობდა, ისეთ პატარა რეგიონებში კი, როგორიც აფხაზეთია, ჩნდებოდა კლანური ინტერესები. თუ მართავდა ერთი კლანი, ათი წლის შემდეგ მადა ეღვიძებოდა მეორე კლანს. „ახალი ადამიანები“ ცდილობდნენ დაეკავებინათ ხელმძღვანელის სავარძლები, რათა მათაც მოეთბოთ ხელი.

იმ ლიდერებს, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოქცევას ლამობდნენ, რა თქმა უნდა, ხალხი ეროვნული ლოზუნგებით გამოჰყავდათ. ადამიანები ქუჩებში იმიტომ ხომ არ გამოვიდოდნენ, რომ ერთი თაღლითი მეორით შეეცვალათ.

მაგრამ როცა ისროდნენ ლოზუნგებს უუფლებობის, ჩაგვრის შესახებ, ხალხი გამოდიოდა. ხოლო როგორც კი ახალი ადამიანები შეცვლიდნენ ძველებს, საკითხიც იხსნებოდა, რადგან ახალ ხელისუფალთ არაფრად ეპიტნავებოდათ ვინმეს განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მათი რეგიონისათვის, რათა მშვიდად ეკეთებინათ თავიანთი საქმეები, ეს დამუშავებული სისტემა იყო.

— კომენტარს არ გავუკეთებ ამ რამდენადმე მოულოდნელ ანალიზს. მაგრამ მიგაჩნიათ, რომ ცხინვალის სიტუაცია ძირეულად განსხვავდება აფხაზეთის სიტუაციისაგან?

— თავად განსაჯეთ, გასაბჭოებამდე ცხინვალში სულ 3-4 ოსური ოჯახი ცხოვრობდა. შემდეგ ჩამოსვლა დაიწყეს ახალმა მოსახლეებმა. სხვათა შორის, ოსები ჩვენთან ცხოვრობენ გორის რაიონშიც, ყვარელშიც, თბილისშიც ბევრი ოსია. საყურადღებო ფაქტია, ჩრდილოეთ ოსეთში არცერთი ოსური სკოლა არ ყოფილა. მხოლოდ ორი წლის წინათ გახსნეს პირველი ოსური სკოლა, საქართველოში კი ოსური სკოლები მარტო ცხინვალში კი არა, არამედ გორის რაიონში, ყვარლის რაიონში, თბილისშიც ფუნქციონირებდა. იყო ოსური თეატრები, გაზეთები გამოდიოდა ოსურ ენაზე.

თუ ამ ასპექტში აფხაზეთის სიტუაციას შევეხებით, სამოცდაათიან წლებში, უკვე შევარდნაძის დროს, იქ გაიხსნა უნივერსიტეტი, შეიქმნა ადგილობრივი ტელევიზია, სკოლებსა და თეატრებზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ. ათი მინისტრიდან რვა ყოველთვის აფხაზი იყო. პირველი პირები იყვნენ აფხაზები, ამიტომ ვერავინ იტყვის, რომ აფხაზეთში ქართველები უკარნახებდნენ აფხაზებს, როგორ ეცხოვრათ, რაც შეეხება პრობლემებს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია ეს პრობლემები იყო, მაგრამ ძირითადად ისინი ეხებოდა ტოპონიმიკას, და სხვა უმნიშვნელო საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა მხარეს ეს საკითხები ოფიციალურად არასდროს დაუყენებია საქართველოს ხელმძღვანელობის წინაშე. თავად ვიყავი მოწმე იმისა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ამ პრობლემატიკის გადასაჭრელად სპეციალურად შექმნილი კომისიის სხდომაზე მოწვეულმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ფაქტობრივად ვერაფერი თქვა და უსაფუძვლო განცხადებების გარდა ვერაფერი შესთავაზა მის წევრებს. ასეთი მიდგომა საერთოდ ახასიათებდა აფხაზეთის ხელმძღვანელობის გარკვეულ ნაწილს. მხოლოდ პრობლემის დეკლარირება, მისი გამოყენება მხოლოდ სიტუაციის გამწვავებისა და არაჯანსაღი ვნებათაღელვის გამძაფრების მიზნით.

— აფხაზეთში ბოლო დროს ურთიერთობა გამწვავდა, თუ არ ვცდები, 1989 წლის ზაფხულში. დაიღვარა სისხლი, იყო მსხვერპლი, მაგრამ შემდეგ თითქოს ყველაფერი ასე თუ ისე მიწყნარდა.

— იქ რომ აფეთქებასაშიში ვითარება იყო, საქართველოს ხელმძღვანელობა ორი კვირით ადრე გავაფრთხილე, სანამ ეს მოხდებოდა. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება. აფხაზეთში მიმავლინეს ერთი დღით ადრე თხუთმეტი ივლისის მოვლენებამდე და თავად გახლავართ იმის მოწმე, რაც იქ დატრიალდა. სამსახურებრივი მოვალეობის გამო ყველაფერი ვიცოდი, რაც ხდებოდა, ავტონომიაში როგორც ამ თარიღამდე, ისე იმ ამბების შემდეგ. ავტონომიაში სიტუაციის გამწვავების პროლოგი 1988 წლის დამლევს გახდა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა აფხაზეთის პარტიული კონფერენციისათვის მზადების ფონზე. ფორუმს უნდა აერჩია საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. სავარძლის პრეტენდენტებმა, რომელთა შორის განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ გუდაუთის კლანის წარმომადგენლები, მოაწყვეს მიტინგები და მსვლელობები. დესტაბილიზაციის ამ კამპანიამ ვერ მოუტანა მათ სასურველი შედეგები. ამის პასუხად განხორციელდა მორიგი აქცია — 1989 წლის 10 მარტს სოფელ ლიხნში გამართული ცნობილი შეკრება, რომლის დროსაც პირველად გაისმა აშკარა მოწოდება, გამოჰყოფოდნენ საქართველოს. ამ შეკრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მხოლოდ აფხაზები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ავტონომიის მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენენ, უგულებელყვეს აფხაზეთის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესები და გამოაცხადეს აშკარა კონფრონტაციის კურსი. ამას ადასტურებს სოფელ ლიხნში მიღებული მიმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი და ამ მიმართვაზე ხელმოწერების შეგროვების ისტორია. აფხაზეთის ყველა დონის ხელმძღვანელს აიძულებდნენ ხელი მოეწერათ ამ მიმართვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ემუქრებოდნენ, რომ მათ აფხაზი ხალხის მტრებად გამოაცხადებდნენ.

ლიხნის შეკრებამ ცხადყო, რომ კრემლის ემისრების გაკვეთილები ჩინებულად აითვისეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებმაც თავიანთი ამბიციური, ავანტიურისტული მიზნების განხორციელებისათვის აფხაზი ხალხი პოლიტიკურ მასალად და მძევლებად აქციეს. ვფიქრობ, ძნელი არ არის შენიშნო, რომ 1989 წლის მოვლენები ანალოგიურია იმისა, რაც ახლა წამოიწყეს აფხაზეთში იმავე მოქმედმა პირებმა და შემსრულებლებმა.

— და მაინც, დავუბრუნდეთ დღევანდელ მოვლენებს.

— შარშან 14 აგვისტოს წინ — აფხაზეთის ტრაგიკულ მოვლენებამდე — საქართველოს საშინაო პოლიტიკურ სტაბილურობას განსაცდელი დაუდგა. სარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველო: 24 საათი

თბილისი. დამთავრდა ებრაელთა დღესასწაული „პურიმი“. ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა იგი თბილისის სინაგოგაში, შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და დამთავრდა დიდი წარმოდგენით „პურიმშპილი“ რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

დღესასწაულში მონაწილეობდნენ ისრაელის სახელმწიფოს დროებითი საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში იოავ ბეჰირი.

ქარელი. უკანასკნელ ხანს გახშირდა სახელმწიფო მეურნეობების კუთვნილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ქურდობა. ქარელის რაიონის სოფელ მოხისში უცნობმა, ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა პირებმა ადგილობრივი ფერმიდან მოიტაცეს ძროხები. ამ შემთხვევაში ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა, მაგრამ უკვე არის ფერმების მუშაკთა მკვლელობისა და დაჭრის ფაქტები.

ბათუმი. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ბათუმიდან და ქობულეთიდან დარეკვაში დაეხმარება აბონენტებს თურქული ფირმა „თელეტაში“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება კავშირგაბმულობის ახალი სისტემის დადგმის შესახებ. ბათუმში უკვე მიმდინარეობს აპარატურის დამუშავება, სახაზო-საკაბელო კავშირგაბმულობის პროექტის განხორციელების სამუშაოები, შენდება რადიოსარელეო კავშირის ოცდაათმეტრიანი ანძა და სხვ.

ჭიათურა. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ერთ-ერთ უდიდეს მაღაროში საბადოს დამუშავება წარმოებს ელექტროდენის მეშვეობით მუხტების აფეთქების ახალი, პერსპექტიული მეთოდით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ შემუშავებული ეს წესი წარმოების მუშაკებს დაეხმარა კომპლექსურად გადაეჭრა ერთბაშად რამდენიმე პრობლემა: შემცირდა კვამლი, ნამუშევარი გაზები და მტვერი სანგრევებში.

წყალტუბო. თოხი, ბარი, ხელის ურიკა, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი — ყველაფერი ეს არის მაღაზიებში. მათი დამზადება იკისრა ადგილობრივმა მრავალდარგოვანმა ფირმამ „ცისარტყელამ“. მარტო წლეულს დაამზადეს და გაყიდეს ორი მილიონი მანეთის პროდუქცია.

ომი უნდა დამთავრდეს

სხვა გაზეთებიდან

(დასასრული)

კინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე მოწყობილი განუწყვეტელი დივერსიების სერიამ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყნის ისედაც მოშლილი ეკონომიკა. ექსპრეზიდენტ გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეთა მიერ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა ნამდვილ ჯოჯოხეთად აქციეს ჩვენ თანამემამულეთა ცხოვრება. ეს არაადამიანური აქციები დააგვირგვინა იმან, რომ მძევლად წაიყვანეს ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი ჯგუფი, ბანდიტებს მძევლები დაკავებული ჰყავდათ აფხაზეთში, რომლის ტერიტორიაზე ისინი შეუფერხებლად მოძრაობდნენ.

საქართველოს ხელმძღვანელობამ არაერთგზის დასვა აფხაზეთის ხელისუფალთა წინაშე საკითხი იმის თაობაზე, რომ უსწრაფესად დამყარებულიყო წესრიგი ავტონომიაში, გამკაცრებულიყო კონტროლი საკომუნიკაციო არტერიებისადმი. ამას პასუხად მოჰყვა ვლადისლავ არძინბას მთელი რიგი მოქმედებანი, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს: შეიქმნა აფხაზთა მონო-ეროვნული გვარდია, რომელიც პირადად მას ემორჩილებოდა, გაჩაღდა არააფხაზური ეროვნების პირების დისკრედიტაციისა და ავტონომიის ხელისუფლების სტრუქტურებიდან მათი განდევნის კამპანია. ყურადღებიანი მკითხველი, რომელმაც იცის ეს ფაქტები, მიხვდება, რატომ მოხდა, რომ 14 აგვისტოს აფხაზეთში სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად შეყვანილ საქართველოს ეროვნული გვარდიის შეზღუდულ კონტინგენტს იქ ზარბაზნების სროლითა და ავტომატების ჯერით დახვდნენ, რასაც, სხვათა შორის, ქართველთა მხრივ, საპასუხო ცეცხლი არ მოჰყოლია.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინასწარ იყო დაგეგმილი აგვისტოს პროვოკაცია, და აი, უკვე მეექვსე თვეა, გრძელდება დაპირისპირება აფხაზეთში, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამასვე მოწმობს ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო დოკუმენტები.

საქართველოში ძმათამკვლელი ომის გამჩაღებელი ვლადისლავ არძინბასა და მის თანამოაზრეთა ჯგუფის ნამდვილი სახე განსაკუთრებული ძალით გამოავლინა საგულდაგულოდ დამუშავებულმა აგრესიამ, 2 ოქტომბერს რომ განხორციელდა გაგრის, ბიჭვინთის, ლესელიძის, განთიადისა და აფხაზეთის სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა წინააღმდეგ. საქართველომ, რომელიც მტკიცედ იცავდა მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის პუნქტებს, გამოიყვანა იქიდან მძიმე შეიარაღება და ჯარები, და ამრიგად, თავისი პოლიტიკური წესიერების მსხვერპლი გახდა.

მსოფლიო საზოგადოებრიობა შეძრა იმან, რაც მოჰყვა აფხაზი სეპარატისტებისა და მთიელ ხალხთა კონფედერაციის დაქირავებულთა მიერ ამ ქალაქებისა და სოფლების ეგრეთ წოდებულ „განთავისუფლებას“. ეს იყო ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც, 800-ზე მეტი ქართველი მხეცურად აწამეს და დახვრიტეს მარტო ქალაქ გაგრაში, მის სტადიონზე კი „აფხაზთა უფლებებისათვის მებრძოლნი“ სწვავდნენ ნაწამებ უმწეო ადამიანების გვამებს. ამ აქციის შედეგად ათასობით ჩემი თანამემამულე — ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ლტოლვილებად იქცნენ საკუთარ მიწაზე.

— ბატონო ჩხეიძე, მაპატიეთ, მაგრამ აფხაზეთის მხარე უარყოფს მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ რეპრესიების ფაქტებს.

— ეს ბუნებრივია. ვინ არ შეეცდებოდა მათ ადგილზე უარეყო ასეთი ფაქტები. მაგრამ მე მოგახსენებთ: იქ დახვრიტეს ჩემი უახლოესი მეგობრები. ერთი ოჯახი მთლიანად ამოჟლიტეს. იქ დაიღუპა კიდევ ჩემი ერთი მეგობარი ვახტანგ ჭელიძე. კიდევ რამდენიმე გვარს დაგისახელებთ. თქვენ გამოაქვეყნებთ, თუ შეგრცხვებათ? აი, მაგალითად, დაიღუპნენ ბარამია, სამოცდათორმეტი წლის კაცი, მისი მეუღლე ნათელა, მათი ოცდაშვიდი წლის ქალიშვილი; მილიციის თანამშრომელი ძიძიგური, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ჯინჭარაძე, რომელიც აკუწეს, გობეჩია, ცოლ-ქმარი თორდიები, იოსავა, გიგიჭკორი, შონია, ოთხი სული ჭარიების ოჯახიდან. სამწუხაროდ, ეს სია მეტად გრძელია.

იცით, ზოგჯერ მირეკავენ ჩემი ძველი აფხაზი მეგობრები „იმ მხრიდან“. მათაც ესმით, თუ რაოდენ უპერსპექტივოა ეს ომი. თავადაც განსაჯეთ: რესპუბლიკაში 90 ათასი აფხაზია, ამათგან, ათი ათასი ახალგაზრდაა, რასაც ერის იმედი ჰქვია. ისინი კი პირველები იღუპებიან. ისპობა გენოფონდი. განა ამად ღირს რამდენიმე ლიდერის ამბიციები? გავა დრო, და ხალხი მიხვდება, ვის სჭირდებოდა ეს ომი.

— და მაინც, რეგიონში ომი უკვე ნახევარი წელია გრძელდება. დარწმუნებული ბრძანდებით, რომ თქვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მისი რაც შეიძლება სწრაფად შეწყვეტისათვის?

— მოდით, ვიმსჯელოთ. ომის პერიოდში რამდენ დღეს ეყოფოდა რესურსები აფხაზეთს? იგი საქართველოსთვისაც მძიმეა, აფხაზეთის ეროვნული შემოსავალი კი ბევრი-ბევრი ერთ-ორ კვირას იყოს საკმარისი. მაშასადამე, რესპუბლიკის გარეთ არიან ძალები, რომლებიც მის ლიდერებს მარტო მორალურად როდი უჭერენ მხარს. არსებობს ერთი უცნაური, მხოლოდ ერთი შეხედვით უცნაური კანონზომიერება. როგორც კი ვაღწევთ რაღაც მორიგებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ვიღაც ქმნის მორიგ საბაბს სიტუაციის გამწვავებისათვის. მაგალითად, ცხინვალში, ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის შემდეგ დახვრიტეს ავტობუსის მგზავრები კეხვში. კაცმა რომ თქვას, თქვენ რაიმე თუ იცით, გამოძიების თაობაზე? არც მე ვიცი. არადა, ქართველი გამომძიებლები ხომ ამ საქმეს არ გააკარეს. მეორე შემთხვევა: დაგომისის შეთანხმებათა შემდეგ კვლავ ჩაიფუშა მოლაპარაკების პროცესი: მოხდა აფეთქებები რკინიგზაზე, იყო თავდასხმები რუსეთის ჯარებზე. მოსკოვის სექტემბრის მორიგებანი, ხოლო მესამე დღეს — გაგრის მოვლენები. ახლა მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება და, უცბად ბანდიტები თავს ესხმიან რუსეთის სამხედრო ნაწილს თბილისში. ვიღაცას ხელს არ აძლევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაცია.

— რამდენადაც ვიცი, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესი სადაცაა დამთავრდება. როგორ წყდება საზღვრების საკითხი?

— მხოლოდ ისე, როგორც უნდა გადაწყდეს. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი საზღვრები ცნო საერთაშორისო გაერთიანებამ.

— ახლა კი გთხოვთ შეეხოთ იმას, რასაც ხშირად უწოდებენ „შევარდნაძის ფაქტორს“ საქართველოს პოლიტიკაში. რა ნაყოფი გამოიღო მისმა დაბრუნებამ საქართველოში?

— ჩემი საქმიანობის გამო ხშირად მიწევს შეხვედრა საზღვარგარეთელ დიპლომატებთან და ისინი მეუბნებიან, საქართველოს ბედმა გაუღიმა, რომ ამ მძიმე ჟამს სახელმწიფოს სათავეში ამოირჩიდა მსოფლიოში ესოდენ დიდი, ავტორიტეტის მქონე კაცი. მან გააერთიანა ის ძალები, რომლებმაც იციან, თუ რა მომაკვდინებელი საშიშროების წინაშე დგას შინაომების ქარცეცხლში გახვეული ქვეყანა. მას გულწრფელად სურს მშვიდობა თავისი სამშობლოსათვის. შესანიშნავად ესმის, რომ რუსეთთან საუკეთესო კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ეკონომიკურ უფსკრულს კი მაინც ერთად უნდა დავაღწიოთ თავი.

— და მაინც, რა გამოსავალს ხედავთ შექმნილი მდგომარეობიდან?

— ყველაზე გონივრული გამოსავალი მოლაპარაკებაა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს სროლა. სოხუმის, სხვა ქალაქებისა და სოფლებისათვის არტილერიის ცეცხლის დაშენის შედეგად ხომ მშვიდობიანი მცხოვრებლები იღუპებიან.

— როგორი დამოკიდებულება იქმნება რუსებისადმი საქართველოში?

— საქართველო ყოველთვის მრავალეროვანი რესპუბლიკა იყო. სამოქალაქო მოსახლეობასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. უბრალოდ, დღეს ყველას ერთნაირად უჭირს. ახლა არმიაზე მოგახსენებთ. რუსეთის არმიას შეუძლია დარჩეს საქართველოში სპეციალური სახელშეკრულებო პირობებით. ჩვენი სერიოზული შეშფოთების საგანია ის, რომ აფხაზეთში აქტიურობენ რუსეთის სამხედრო წრეების გარკვეული ნაწილები, რომლებიც თვითნებური მოქმედებით ხელს უშლიან რეგიონში მოწესრიგების პროცესებს, უფრო მეტიც, მათი მოქმედება ეწინააღმდეგება რუსეთის ხელმძღვანელობის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გამოიხატა მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში. შეგახსენებთ, რომ ამ დოკუმენტში რუსეთის ფედერაციამ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ავტონომიურ რესპუბლიკაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების მიერ სუვერენული სახელმწიფოს კანონების დაცვის, მათი ნეიტრალიტეტისა და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ფაქტი.

— ბატონო ჩხეიძე, საქართველოს გერბზე გამოსახულია შვიდქიმიანი ვარსკვლავი. რას ნიშნავს ეს სიმბოლო?

— ეს არის საქართველოს შვიდი ისტორიული ოლქი.

—მათ შორის აფხაზეთიც?

— მათ შორის აფხაზეთიც.

პოლიციის გადაუდებელი ამოცანები

როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება ქ. თბილისში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. როგორ აპირებს პოლიცია დამნაშავე სამყაროსთან ბრძოლას, ამ კითხვით დაიწყო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან დავით სალარიძესთან:

— პოლიციის მუშაობა გააქტიურდა. ამას გარკვეულწილად შეუწყო ხელი ქალაქის მერიასთან ახლადშექმნილმა საკოორდინაციო შტაბმა. ამ ხნის მანძილზე დამნაშავეებს ჩამოერთვათ 80 ავტომატი, ორმოცზე მეტი პისტოლეტი და დიდძალი საბრძოლო იარაღი, აღძრულია 180-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება ორ ათეულამდე სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფი. დედაქალაქში საგრძნობლად შეიმჩნევა დანაშაულობების შემცირება. ამიერიდან, არცერთი დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება.

— რა არის საჭირო ქალაქში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის?

— შედეგებმა გვიჩვენა, რომ თუ საზოგადოებრიობა არ ამოუდგა პოლიციას გვერდში, სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ. მინდა ერთ პრობლემაზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: არ შეიძლება პოლიციას ერთდროულად დავავალოთ კრიმინოგენულ სამყაროსთან ბრძოლაც და ამავე დროს საავადმყოფოების, პურის ქარხნების, კინოთეატრებისა და სხვა დაწესებულებების დაცვა. კარგი იქნება, თუ ყველა ორგანიზაცია იზრუნებს თავისი უბნებისათვის.

ამაში ვგულისხმობ სადღეღამისო მორიგეობას, ფაქტობრივად, ჩვენთან არის ყაზარმული ვითარება, რაც სადღეღამისო მუშაობას ნიშნავს. ამიტომ მხოლოდ ასე თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს. ამჟამად ორასამდე პოლიციის თანამშრომელი იმყოფება აფხაზეთში, ასი კაცი — სენაკში. მარტო დამნაშავეებთან ბრძოლაში ამ ბოლო ხანს 150 პოლიციელია დაღუპული. მაგრამ ბრძოლას კვლავაც გავაგრძელებთ დამნაშავეობის წინააღმდეგ.

— როგორია პოლიციისა და სამხედროების ურთიერთდამოკიდებულება?

— ჩვენმა სამსახურმა სამხედრო ხელმძღვანელობასთან შექმნა ახალი სამხედრო კომენდატურა, რომლის კომენდანტად დაინიშნა გურამ ჯანიაშვილი. ქალაქში ვითარება შედარებით გამოსწორდა, იარაღით სიარული თითქმის მინიმუმამდე შემცირდა. არის უკანონო იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ფაქტებიც.

მინდა ჩემს თანამოქალაქეებს მივმართო, რომ პოლიციას მოსახლეობაც დაეხმაროს, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სასურველ შედეგებს.

გულიკო მარკოზაშვილი.

ვილაცა წერას აუტანია,

ანუ ზოგჯერ რატომ გვავიწყდება სოფელი-ჩვენი ტკივილი და იმედი!

თემა მკითხველმა შემოგვთავაზა

როლანდ ბასილაშვილი

შარშან, შვიდ მაისს, დედოფლის წყაროს რაიონის გამგეობამ რეგისტრაციაში გაატარა (გადაწყვეტილება № 54) სოფელ ზემო მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო საწარმო „თელაწყალი“. ახლახან, გაიმართა ამ საწარმოს რწმუნებულთა პირველი კრება.

გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე (1992 წლის პირველი მაისიდან 1993 წლის პირველ იანვრამდე), კრებას მოახსენა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გამგეობის თავმჯდომარემ კობა მაძღარაშვილმა. კრების წინაშე ანგარიშით წარსდგა აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გივი პაპაჩაშვილი, მიწის რეფორმების საკითხებზე კი ილაპარაკა როზიზონ ბაიდოშვილმა და შემდგომ განიხილეს განცხადებები...

რწმუნებულთა კრება ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში გაიმართა. ეს შენობა სოფელს ისტორიული ძეგლივით შემორჩენია. გაველურებულან მის ეზოში დარგული დეკორატიული, მარადმწვანე მცენარეები და მადლიან მარჯვენას ელოდებიან, რომელიც მათ პირვანდელ შნოსა და ლაზათს დაუბრუნებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს იგი.

კულტურის ეს სასახლე 1954 წელს აუშენებიათ. მშენებლობაზე, მაშინდელი ფულის კურსით, 261830 მანეთი დაუხარჯავთ. ამით ზემო მაჩხაანელებს შთამომავლობის წინაშე ვალი მოუხდიათ და, მართლაც რომ, დიდებული კულტურის სახლი აუშენებიათ. მაგრამ გული გეტკინებათ, როცა ამ საწყალ შენობაზე ჟამთა სიავის სავალალო კვალს ნახავთ.

საწყალიო, იმიტომ ვამბობთ, რომ ეტყობა, აღარავის ედარდება იგი, თორემ აქამდე დაფაცხავებულ საწვიმარ მილებს მაინც გამოცვლიდნენ, არადა, წყალი კედლებზე ჩამოდის და ისე ნელნელა ფქვავს მათ, როგორც ცილამპალს ჭია-ღუა.

უბედურება ის არის, რომ სასახლის სახურავიც დაძველებულა. ზოგიერთ ოთახში წვიმის წყალს ჭერიდან და კედლებიდან ბათქაში ჩამოუნგრევია. კიდევ კარგი, ფანჯრებს მინები შერჩენია, თორემ აქაურობა უპატრონო ეკლესიას დაემსგავსებოდა.

ახალბედა საწარმოს პირველი ნაბიჯები

კრებაზე ითქვა, რომ შარშანდელი წელიწადი საწარმოსათვის ერთგვარად აფორიაქებული იყო. თურმე ერთდროულად ხდებოდა კოლმეურნეობიდან გამოყოფა, საკარმიდამო მიწების შევსება და ამავე დროს წყდებოდა მიმდინარე სამეურნეო სამუშაოების პრობლემები. თურმე საწარმოს წევრებს შესთავაზეს, იქნებ ვენახები შემოდგომაზე გავანაწილოთო, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლიეს ისინი. ამიტომ 344 ჰექტარი (ორჯერ იყო შეწამლული და ორჯერ გოგირდი ჰქონდა შეფრქვეული) მოსახლეობას ივნისში გადაეცა. ბუნებრივია, ვენახების აზომვასა და მიზომვას საკმაო დრო დასჭირდა და ამიტომ დაირღვა წამლობისა და სხვა სამუშაოების აგროვადები. ხოლო, რაკი ხალხმა თავისი დაიგულა, 550 ჰექტარი საზოგადოებრივი ვენახი თითქმის უყურადღებოდ დარჩა. ვაზებს სარეველა მოერია, ჭრაქმა, ნაცარმა და სხვა დაავადებებმაც აღარ დააყოვნა და ყველა ამ უბედურებამ მოსავალზე იმოქმედა. საწარმომ შარშან მხოლოდ 1122 ტონა, ანუ 22394400 მანეთის ყურძენი მოკრიფა. ეს ციფრი ორმაგი თუ არა, გაცილებით მეტი იქნებოდა, ზემოუბნელებს რომ დამშვიდებული წუთისოფელი ჰქონოდათ.

ამდენად, საანგარიშო პერიოდში საწარმოს ფულადმა შემოსავალმა 31904069 მანეთი შეადგინა. აქედან 12484200 მანეთი ჯამაგირისათვის დაიხარჯა. გაისტუმრეს სახელმწიფო ვალები, რომლებიც მემკვიდრეობით მოჰყვათ. განზრახულია პრემიების გაცემაც. ნაწილი თანხისა კი კვლავწარმოებისათვის გადაინახეს. ამასთან, საწარმოს წევრებს ძალიან იაფად მიჰყიდეს ცხვარი (ცოცხალი წონა კილოგრამი 20 მანეთად), მზესუმზირა, ხორბალი და სხვა პროდუქტები. აი, ასეთია სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი.

გაიყვნენ, მაგრამ... ვერ გაიმიჯნენ

მაშ ასე! ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ სოფელ ზემო მაჩხაანში არის სასოფლო-სამეურნეო საწარმო „თელაწყალი“, რომელშიც გაერთიანებულან სოფლის ზემოუბნელები, და კოლმეურნეობა, სადაც მხოლოდ ქვემოუბნელები დარჩნენ. ისინი ადრეც (1950 წლამდე) ცალ-ცალკე კოლმეურნეობები ყოფილან, ზემოუბნელებისას ბერიას სახელი რქმევია, ქვემოსას კი სტალინის. როგორც ნახეთ, შარშანდლამდე ისინი ერთ კოლმეურნეობაში შრომობდნენ, მაგრამ მათმა თხებმა ერთად მაინც ვერ მოძოვეს და კვლავ გაიყარნენ. რა არის ამაში ცუდი? არაფერი, ერთი ეგ არის, რომ დღემდე ბევრი რამ ისევ გასაყოფია. მიწების გამიჯვნა ხომ ვერა და ვერ მოხერხდა. არ ილევა მიზეზები ხან ერთი, ხან კი მეორე მხრიდან.

რაკი თვითონ ვერ მოშველდნენ, ზემოუბნელებმა რაიონის გამგეობას წერილი წერილზე გაუგზავნეს და გაყრაში დახმარება თხოვეს. გამგეობა ჩარეულა ამ დავაში, რომელმაც, თურმე სამი თვე მოანდომა, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანა... სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც გაუგზავნიათ წერილი, მაგრამ დახმარებას ვინ ჩივის, პასუხიც კი არ მიუღიათ. ერთი საქართველოს მიწათმოწყობის ინსტიტუტი იყო, რომ ორჯერ გააგზავნა თავისი მუშაკები ზემო მაჩხაანში, მაგრამ რად გინდა? ვერა და ვერ შეახვედრეს ამ ორი მეურნეობის წარმომადგენლები, რომ მიწები გაემიჯნათ და ამდენად მათი ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

ბუნებრივია, იკითხავთ, რა გაუჭირდა ამისთანა დედოფლის წყაროს გამგეობას, რომ ერთი სოფლის უბრალო პრობლემა ვერ გადაწყვიტა, მაშ რაიონს როგორღა უნდა უპატრონოსო... ვფიქრობთ, პასუხად ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ სოფლებში არბოშიკსა და კოტაანშიც ანალოგიური მდგომარეობაა.

აქაც ერთი კოლმეურნეობა ორად გაიყო და წელიწადი ხდება, ეს სოფლებიც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან.

არადა, მიწამ უკვე იგრძნო გაზაფხული. მშრომელ კაცს ძილშიაც საგაზაფხულო სამუშაოები ელანდება, მაგრამ აღარ იციან, რომელი მიწები მოხნან, რომელში დათესონ, ან რომელ საძოვარზე გარეკონ ცხვარ-ძროხა.

მოკლე ჭკუით ნაფიქრალი

რაც უნდა ვმალოთ, ჰირი თავს მაინც არ დამალავს. ამიტომ, ისევ თქმა სჯობია იმისა, რომ დღეს სოფელი, ჩვენი ტკივილი და იმედი, პენსიონერის ანაბარა დარჩა. ახალგაზრდას თითო-ოროლას თუ შეხვდებით, რომ ფიზიკურად შრომობდეს. დიახ, მოსავლის ბედიბალს პენსიონერები წყვეტენ, მაგრამ საზოგადოებრივ მეურნეობებში მალე ალბათ ამათაც კონტიკუნტადღა შევხვდებით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან უკვე 86 პენსიონერი გავიდა და შინ დაჯდა, მუშაობას თავი დაანება, თუმცა ისინი ისეთ ჯანზე არიან, მთას მოგლეჯენ. მათ მნახველს დაეინანება, რომ ცდება მარჯვენა ხორბლის მთესავი და დოვლათის დამხვავებელი.

კრების დაწყებამდე რამდენიმე პენსიონერმა მთხოვა, ორიოდე სიტყვას დაგაბარებთ და იქნებ პარლამენტამდე მიიტანოთო...

— პირდაპირ ვიტყვით, ჩვენი თხოვნაა, რომ პენსიასა და კომპენსაციასთან ერთად შრომის ანაზღაურებაც მივიღოთ. ამით სახელმწიფო არაფერს არ დაკარგავს, პირიქით, ქვეყანას დოვლათი შეემატება. ვის მოაფიქრდა, რომ პენსიონერს, თუ იმუშავებს, კომპენსაცია აღარ მიეცეს. ეს ხომ იმას ნიშნავს, არ იმუშაოო. არადა, კაცს შრომა უნდოდეს, ჯანიც მოსდევდეს და პირობებს არ უქმნიდნენ, ხელოვნურად უკრძალავდნენ პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია. ეს ან მავნებლობაა, ან კიდევ მოკლე ჭკუით ნაფიქრალ-გადაწყვეტილი.

ჩვენი არჩეული პარლამენტი წინა მთავრობების შეცდომებს ასწორებს და თუ პენსიებზე მიღებულ კანონსაც გადახედავს და თხოვნას შეგვისრულებს, მერე შრომა ჩვენზე იყოს...

ვიანგარიშეთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიხედვით სხვადასხვა დარგის პენსიონერების ფულადი შემოსავლები. მაგალითად, მემინდვრე პენსიონერი წლის განმავლობაში საშუალოდ გამომუშავებს 180 ათას 82 მანეთის ღირებულების პროდუქციას. პენსიის, კომპენსაციისა და ჯამაგირის სახით ამ თანხიდან იგი უკან წაიღებს 23463 მანეთს. სამაგიეროდ საწარმოს 156619 მანეთს სუფთა მოგებას დაუტოვებს. მევენახე მექანიზატორი — 187704 მანეთს, მეცხვარე პენსიონერი კი მეურნეობას 67269 მანეთ სუფთა მოგებას მისცემს.

ისე რომ, 86 პენსიონერი რომ სამუშაოზე დავაბრუნოთ, ვთქვათ, როგორც მემინდვრე, ისინი საწარმო „თელაწყალს“ წელიწადში 13469234 მანეთ სუფთა მოგებას მისცემენ. იანგარიშეთ, რამდენი ჯანღონით სავსე პენსიონერია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც მზად არის იმუშაოს, ოღონდ პენსიასა და კომპენსაციასთან ერთად შრომის ანაზღაურებაც მიიღოს.

სოფელი შეუმცდარი მსაჯულია

გამოგიტყდებით, ძალიან არ გვესიამოვნა, როცა შევიტყვეთ, რომ შარშან, რთველობას, ქვემოუბნის კოლმეურნეობის საველე სასწორზე არ აწონეს საწარმო „თელაწყლის“ ყურძნით დატვირთული ავტომანქანა და იგი უკან გააბრუნეს... აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საწარმოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმაც შესცოდა, როცა გამყიდველს აუკრძალა ქვემოუბნელებს (კოლმეურნეობის წევრებს) რძე არ მიჰყიდოო..

ანალოგიური ფაქტი ზემო მაჩხაანში უამრავია, რაც მიგვანიშნებს, რომ სოფელი ორად არის გაყოფილი და ისეთი დამოკიდებულებაა მათ შორის, ზემოუბნელს გული რომ წაუვიდეს, ქვემოუბნელი წყალს არ მიაწვდის, და პირიქით. ეს და კიდევ სხვა ფაქტები მაშინაც შევიტყვეთ, როცა ქვემო და ზემოუბნელების წარმომადგენლები ერთმანეთს შევახვედრეთ.

ერთხანს მყვირალობის ხარირმებივით უბღვერდნენ ერთმანეთს, იკამათეს, იდავეს, მაგრამ ღრუბელმა გადაიარა. დაძაბულობა განიმუხტა და შეთანხმდნენ, რომ მიწები და სხვა მოძრავ-უძრავი ქონება ორმოცდაათიანი წლების დოკუმენტების მიხედვით გაყოთ, რომლებიც თურმე დაკარგული არ არის.

ამას ჰქვია — „ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები დარჩნენო“. ეს კაცთმოყვარეული და ქრისტიანული შეგონება ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა დაგვიბარეს და დაიწყების უფლება არა გვაქვს. სამწუხაროდ, ეს სიბრძნე ბევრს ჩირადაც არ უღირს. სეირის მოყვარულნი, ამ ორ უბნელებს შორის — კიდევ უფრო აღვივებენ მითქმა-მოთქმასა და კინკლაობას. ცეცხლზე ნავთს ასხამენ, წნავენ ჭორებსა და ინტრიგებს, ცდილობენ ხალხი ერთმანეთს წაჰკიდონ და წყალი კვლავ ამღვრიონ, მაგრამ მადლობა გამჩენს, რომ მან, როგორც ზემო, ისე ქვემოუბნელებს სიბრძნე და კაცთმოყვარეობა მიანიჭა და ძალა მისცა ეშმაკზე გამარჯვებისათვის.

ერთი სიტყვით, ვილაცა წერას აუტანია და ვურჩევთ, სანამ გვიან არ არის, გონს მოეგოს: ვურჩევთ, მხოლოდ სიყვარული თესოს, თორემ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ხალხი აუცილებლად გაასამართლებს და საკადრისს მიუზღავს, სოფელი სამართლიანი და შეუმცდარი მსაჯულია. უკუღმართობას არავის აპატიებს, ვინც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ ისიც იცის, თუ მოეწონე გაგაღმერთებს და ძეგლსაც აგიგებს.

ვფიქრობთ, საჭირო და სასარგებლო იქნებოდა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ქართული ფულის ნიშნების დასახელებისა და მხატვრული სახის დამდგენ რესპუბლიკურ კომისიას

1. საქართველოს ორდენების დაწესება დიდი პოლიტიკური აქტია.

გარდა იმ ორდენებისა, რომლებიც უკვე დაწესდა, საჭიროდ მიგვაჩნია დაწესდეს აგრეთვე ჩვენი ღირსეული წინაპრების ფარნავაზ მეფისა და მეფე ქუჯის, როგორც საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი გამაერთიანებლების, ორდენი. უფრო სწორედ, ფარნავაზისა და ქუჯის ორდენი. ორი ღირსეული მამულიშვილის სახელობის ორდენის დაწესება ხაზს გაუსვამს იმას, რომ სამშობლოს ერთიანობა წმიდათა-წმიდაა და მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

ასევე აუცილებლად და საჭიროდ ვთვლით ცოტნე დადიანის ორდენის დაწესებასაც. ცოტნეს პიროვნების კომენტარები ზედმეტად მიგვაჩნია, მისი ორდენის დაწესება კი საშური საქმეა.

2. ქართული ფულის შემოღება, ბუნებრივია, განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი აზრით, პრინციპული ხასიათისაა ის მნიშვნელობაც, რომელიც ფულის ამა თუ იმ ნიშანზე გაკეთებულ გამოსახულებას გააჩნია.

ვფიქრობთ, საჭირო და სასარგებლო იქნებოდა ფულის ერთ-ერთ მაღალი რიგის ნიშანზე გაკეთდეს ჩვენი ღირსეული წინაპრების ფარნავაზ მეფისა და მეფე ქუჯის, როგორც საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი გამაერთიანებლების, გამოსახულებები (ფულის ერთი და იგივე ნიშანზე ორივე მეფის გამოსახულება).

ფარნავაზისა და ქუჯის ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების მიზნით გადაიდგა, მათი შეხედულება საქართველოს ერთიანობის აუცილებლობისა და საუკუნეების სიღრმეში, საუკეთესო მაგალითია ყველა თაობისათვის, საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის.

ქართული ფულის ნიშანზე ამ სასიქადულო მოღვაწეების გამოსახვა შეასრულებს მეტად სასარგებლო და საჭირო აღმზრდელობით ფუნქციას.

ის გარემოება, რომ ფარნავაზისა და ქუჯის პორტრეტები არ არსებობს, სრულიადაც არ ქმნის გამოუვალ მდგომარეობას. ჩვენი მხატვრები და ისტორიკოსები ადვილად დასძლევენ ამ დაბრკოლებას.

საქართველოს პარლამენტის წევრები:

გ. აბალაძე, ი. აბესაძე, ვ. ადამია, ა. ასათიანი, თ. ბასილაია, ა. ბერიძე, თ. გამყრელიძე, ზ. ბეჟაძე, თ. დიხამინჯია, ნ. ვარდოსანიძე, ო. ზუხბაია, ა. თავართქილაძე, ლ. თირძია, თ. კალანდაძე, გ. კალანდია, ზ. კეკელია, მ. კვარაცხელია, ზ. კოვზირიძე, ო. კოხია, ნ. კოხრეიძე, გ. ლობჟანიძე, რ. მიმინოშვილი, გ. მუჩაიძე, ა. ნადარაია, ნ. ნადარაია, თ. ნადარეიშვილი, შ. ნათელაშვილი, თ. ჟორჟოლიანი, ჯ. საჯაია, მ. ურიდია, გ. ფაცაცია, ა. ფერდენავა. თ. ფიფია, მ. ქაჯაია, გ. ყოლბაია, ჟ. შარტავა, ზ. ჩიტლოვი, ჯ. ციციშვილი, გ. წითლანაძე, ა. წოწონავა, ი. ჭელიძე, ი. ხარატიშვილი, გ. ხვედელიძე, რ. ჯაფარიძე, ნ. ჯეირანაშვილი.

აქტუალური ინფორმაცია

პრობლემა მარტის ბოლოსთვის უნდა გადაიჭრას

ნატო თევდორაშვილი

შეკრება ეროვნულ ბანკში

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი უკიდურესად მძიმე ფულად-საემისიო მდგომარეობის გამო საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიმართა თათბირი, რომელზეც მოწვეული იყვნენ თბილისის კომერციული ბანკების მმართველები, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

— მეოთხე თვეა, თქვა ეროვნული ბანკის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ნუგზარ ფიფიამ, რუსეთმა საქართველოს ფულადი ემისია შეუწყვიტა. ამის მიუხედავად ჩვენმა ბანკმა მეტწილად მაინც მოახერხა მოსახლეობას იანვრის ჩათვლით აეღო პენსიები, სტიპენდიები და ხელფასები. იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ხელფასები დეკემბრიდან არ გაუციათ, ბანკებთან საპრეტენზიო არაფერი აქვთ, რადგან მათ ანგარიშებზე ფაქტობრივად თანხა არ ირიცხება. ვითარებას ისიც ართულებს, რომ კომერციული სავაჭრო სტრუქტურებიდან ბანკებში ფულის ნიშნები თითქმის არ შემოდის. ამ სტრუქტურებმა ფულით ვაჭრობა, ეგრეთ წოდებული „ფულის გაცოცხლება“ დაიწყეს და თავიანთი სავაჭრო ამონაგები, ისევე, როგორც ბანკებიდან აღებული სესხი, გადარიცხვის წესით შემოაქვთ. ამასთან, კარგა ხანია არ სრულდება რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება გაცემული სესხების 80 პროცენტის ნაღდი ფულით დაბრუნების თაობაზე. აქაც ფულის ნიშნის მაგივრად გადმორიცხვით აბრუნებენ ვალს. ამ შემთხვევაში ბანკებს უფლება აქვთ ასეთი ფირმების მიმართ გამოიყენონ ერთადერთი სანქცია — სესხის პროცენტების გაზრდა, რაც სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

თავი იჩინა მეტად საშიშმა ტენდენციამ: კომერციული მაღაზიები და საკოლმეურნეო ბაზრები უარს ამბობენ წვრილი კუპიურების — მანეთიანების, სამმანეთიანებისა და ხუთმანეთიანების მიღებაზე. რაც სრულიად დაუშვებელია. ამ კუპიურების მიღება არავის აუკრძალავს და, თუ ეს საქმე დროზე არ მოწესრიგდა, სულ მალე მათ ნაკლებ ფასად შეიძენენ და მერე ბანკებს ნომინალით ჩააბარებენ (უკვე არის ამის შემთხვევები). სამართალდამცავმა ორგანოებმა მკაცრი ზომები უნდა მიიღონ ასეთი ფაქტების აღსაკვეთად.

დღევანდელი შეკრება მიზნად ისახავს კოორდინირება გავუწიოთ თქვენდამი რწმუნებულ ბანკებში ყოველდღიურად შემოსულ ფულის ნიშნებს. იმ მყარი შემოსავლის მქონე ბანკებიდან ფულის მასა უნდა გადავიტანოთ ბანკებში, რომლებსაც უჭირთ მოსახლეობის უზრუნველყოფა. უნდა ვეცადოთ გადავთანაბროთ სიტუაცია, პირველ ყოვლისა, გავცეთ პენსიები და სტიპენდიები. ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად დავუგვიანოთ ხალხს ხელფასი. უნდა ავამოქმედოთ ნაცვეთი ფულიც, რომელიც საქართველოს ბანკების საცავებში გვაქვს, გადავარჩიოთ კუპიურები და რაღაც ნაწილი მაინც გამოვიყენოთ.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, ითქვა თათბირზე, სახელმწიფო კომერციულ ბანკებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს, რათა ქვეყნის მოსახლეობა და საწარმო-დაწესებულებები ფულის ნიშნებით რაც შეიძლება შეუფერხებლად მომარაგდნენ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გადამჭრელი ზომები, რომ ეს პრობლემა მარტის ბოლოსთვის გადაწყდეს.

დანიის ელჩი ინდუსტრიაბანკში

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიაბანკს ესტუმრა დანიის ელჩი საქართველოში ქრისტიან ფაბერ-როდი.

ელჩმა განაცხადა, რომ დანიის ბანკები დაინტერესებული არიან კავშირები დაამყარონ საქართველოს ბანკებთან, მათ შორის, ინდუსტრიაბანკთან. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიაბანკის საერთაშორისო ურთიერთობებითა და უცხოური ინვესტიციების საკითხებით.

ინდუსტრიაბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა ზაალ ჯენეჩხაძემ მადლობა გადაიხადა გამოჩენილი ყურადღებისათვის, ელჩს გააცნო ბანკის სტრუქტურა, ბანკის საქმიანობა და აღნიშნა, რომ ინდუსტრიაბანკმა უკვე მიიღო დანიის ერთ-ერთი უდიდესი ბანკიდან — დენ დანსკე ბანკიდან თანხმობა საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნის შესახებ.

ინდუსტრიაბანკი მზადყოფნას გამოთქვამს თავის მხრივ, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ასეთ კავშირურთიერთობათა დამყარებას.

საქვეყნო ფიქრი

ეს უფრო მეტად ჩვენ გვჭირდება

ლალი ქინქლაძე

თბილისის „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას კარგი შრომითი ტრადიციები აქვს. უნდა ითქვას, რომ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე იგი წამყვანი ორგანიზაცია გახლდათ დარგში ანალიზური ხელსაწყოების მართვის ავტომატიზებული სისტემების და ტაქომეტრიის დამუშავების და გამოშვების მხრივ. აქ დამზადებულ სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო ხელსაწყოებზე დიდი მოთხოვნილებაა ატომური, თბოელექტროსადგურების მშენებლობისას, მას ფართოდ იყენებენ კოსმოსში, აგრეთვე ავიამშენებლობასა თუ გემთმშენებლობაში, გარემოს დაცვის საქმეში და სხვა. ისიც გვახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ ბრიგადაში გაერთიანებული სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები, რომლებმაც შექმნეს ახალი ხაზოვანი გარემოს დაცვის ავტომატიზებული სისტემა (მდინარეებისათვის), გერმანიაში ქალაქ ბერლინში მიიწვიეს. მათ მდინარე შპრეზე ვადამდე დანერგეს ხამი ასეთი სისტემა, რისთვისაც ბრიგადის ოთხ წევრს თ. ძაგანიას, რ. ბაირამიანს, ე. ყაუხჩიევს და ი. მოროზოვს — თავდადებული საქმიანობისათვის შრომის აქტივისტის საპატიო წოდება მიენიჭა. პრესტიჟულ პროდუქციაზე მაშინვე გაჩნდა მოთხოვნები ბელგიიდან, არგენტინიდან, ფინეთიდან, ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან. ასე რომ, თბილისის „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივის წარმატებები ორი დარგის წმინდა სამეცნიერო გამოკვლევებისა და წარმოებაში მისი გამოცდილებისა და დანერგვის აუცილებლობამაც განაპირობა.

ყოველი ახალი ავტომატიზებული სისტემის დამუშავებას და დამზადებას მრავალგვარი წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები უდევს წინ, მაგრამ ყოველივე ეს ხორციელდება მონათესავე პროფილის საწარმოებთან მტკიცე ეკონომიკური ურთიერთკავშირით, ძირითადად, კი, ეს ქარხნები, ე. ი. მასალებისა და ნედლეულის მომწოდებელი ორგანიზაციები რსფსრ თუ სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი.

რთული პოლიტიკური ვითარების გამო ეს კავშირები, როგორც ცნობილია, დაირღვა, რამაც დიდად დააზარალა გაერთიანებაში შემავალი თბილისის საცდელი ქარხანა. ამის თაობაზე თავის აზრს გვიზიარებს საწარმოს მთავარი ინჟინერი კაზიმ ვერძაძე.

— ჩვენი ქარხნის არსებობაზე, — გვითხრა მან, — ვფიქრობ, რესპუბლიკას ბევრი სიკეთე მოუტანა, მით უმეტეს, რომ მისი ბიუჯეტიდან გაერთიანების განვითარებისათვის, შეიძლება ითქვას, მინიმუმიც არ იხარჯებოდა. დიახ, ყოფილი სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო იმდენად მდიდარი გახლდათ, რომ ფინანსებზე ზრუნვით თავს ნამდვილად არ ვიტკიებდით. ეს სახსრები კი ისევ ჩვენი კოლექტივის წევრთა კეთილდღეობას ხმარდებოდა, რაც გამოიხატებოდა მუშა-მოსამსახურეების დასაქმებით, მათზე ხელფასის გაცემით, საცხოვრებელი სახლების მშენებლობით და სხვა მრავალი დახმარებით, რაც ადამიანებს ცხოვრების ნორმალურ საშუალებას აძლევდა. ახლა კი ქარხანა პარალიზებულია და ხალხიც დაზარალდა. ამიტომ პირდაპირ ვიტყვი: თუ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა არ დამყარდა, ჩვენს ქარხანას ამ ეტაპზე წინსვლის არავითარი პერსპექტივა არა აქვს.

მარლენ კალანდაძე — დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში: — იცით რა გითხრათ? ჩემზე მეტად საქართველო თუ ვინმეს უყვარს, არა მგონია, ასეა სხვაც, და ამით ახალს ალბათ არაფერს ვამბობ. ოღონდ სიყვარულს ყველა თავისებურად გამოხატავს. სოციალისტურმა სტრუქტურებმა რომ ვერ გაამართლა, ეს ფაქტია, ოღონდ, იმ კავშირების მოშლა, რაც რუსეთთან და მეზობელ რესპუბლიკებთან გვქონდა, ისევ ჩვენს საქმეს დასწევს უკან, აი, თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: 40 მილიონი მანეთის პროდუქცია გაუსაღებელი გვიდევს საწყობებში; მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ორ ქვეყანას შორის სათანადო სამთავრობო ხელშეკრულება არ არსებობს, ამასთან დარღვეულია საბანკო ურთიერთობები და ფულის პირდაპირი გადმორიცხვა ფაქტობრივად არ ხდება. არადა, პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. აი, ხელთა მაქვს მურმანსკიდან გამოგზავნილი ბარათი, რომლის დედააზრი ის გახლავთ, რომ ჩვენს ურთიერთობებს ჩვენს მთავრობებს შორის ხელშეკრულების უქონლობა უშლისო ხელს. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ჩვენი საწარმო არ გაჩერებულა, ხალხი მობილიზებულია შრომისათვის და არ სურს ჩამორჩენა, ვინაიდან ეს საწარმო ერთი თვეც რომ გაჩერდეს, მერე მისი მუშაობის რიტმის აღდგენა გაძნელდება, აუცილებლად მიმაჩნია პარტნიორობის საფუძველზე საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადება, ვინაიდან იგი ორმხრივ სარგებლიანობას მოგვიტანს და ეს ჯერჯერობით უფრო მეტად ჩვენ გვჭირდება. როდესაც ოფიციალურად გაფორმდება პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება ამა თუ იმ ქვეყანასთან, მაშინ კომერციული სამსახურიც უფრო ამოქმედდება და ჩვენი საქმიანობაც მეტ ნაყოფს გამოიღებს.

ასეთი აზრისაა მთელი გაერთიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია გამოკეტილი ფაბრიკა-ქარხნები და უმუშევრობა. დროა დავფიქრდეთ, რას მოგვიტანს ყოველივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტური მივლინებით

...საქართველო აჭარით იწყება

გია ჭელიძე

გაზაფხულის პირველი დღეებია აჭარაში. სადაც არის დავიწყებას მიეცემა წლევანდელი ულმობელი ზამთრის სუსხი და თოვლი. წელში გაიმართნენ ბათუმის სანაპიროზე თვალწარმტაცი პალმები. ჩვეულ ეშხსა და ლაზათს იბრუნებს თეთრი ნავსადგური, პორტი რეიდზე მდგომი ულამაზესი საზღვაო ლაინერებით.

ახალი, იმედით სავსე გაზაფხული აღებს საქართველოს, მისი უმშვენიერესი კუთხის — აჭარის ჭიშკარს.

ხშირად უთქვამთ, საქართველო აქედან, ბათუმით იწყებაო. ასეც არის... მართლაც, ვისაც უცხოეთში ყოფნის შემდეგ ერთხელ მაინც შემოუღია საქართველოს საზღვაო კარი და ბათუმის ყურიდან შეუხედავს ჩვენი ქვეყნისათვის, არასოდეს ავიწყდება ის სითბო, რომელსაც ასე უხვად ასხივებს ჩვენი ბათუმი — ქართველთა ულამაზესი ქალაქი, თავისი ქათქათა ქუჩებითა და გულიანი, სიკეთით სავსე ბათუმელებით.

უჩვეულო, სისხლითა და ნაღველით სავსე წლები გვიდგას საქართველოში. ომმა და შიდა აშლილობამ დაგვრია ხელი. ათასი ჯურის მომხვდური თუ შინაური მტერი გვარბევს და გვავიწროვებს: გვიკეტავენ გზებს, აფეთქებენ ხიდებს, ლიანდაგებს, ელექტროგადამცემ ხაზებს იმისათვის, რომ გაგვაოგნონ, ფარხმალი დაგვაყრევინონ, დაგვამშიონ და ისევ მონობას შეგვარიგონ. ჩვენ კი ამ მოძალებას, ქურდ-ბაცაცობას, ყაჩაღობას, ურთიერთსიძულვილსა და განდგომას ჯერაც ვერაფერი საგულისხმო დავუპირისპირეთ, ჯერჯერობით ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ ერთად, ერთიანად ავმდგარიყავით, გავერთიანებულიყავით და ძველქართულად დაგვეძახა: — „შკა მაგათო"!

ბათუმი და მთელი აჭარა კი შეუვალი ციხე-სიმაგრესავით დგას, შრომობს, ბორგავს და იბრძვის იმისათვის, რომ დაანახოს დედა-საქართველოს ერთგულების, თანადგომის მადლი და სიკეთე, კიდევ უფრო მოგვანატროს ყველას ესოდენ მონატრებული სიმშვიდე, წესრიგი, შრომა, თავდადება, და ბოლოს, გაგვიღვივოს ელემენტარული პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს თითოეულ ჩვენგანს მამულის ესოდენი ძნელბედობის ჟამს.

— რა ხდებაო აჭარაში? — უკვე მოარულად იქცა ეს კითხვა. მოდი და, ნუ შეაშფოთებს კაცს ჩვენი უპასუხისმგებლობა, რაღაც არნახული გულგრილობა და აქ მიმდინარე მოვლენების შეუფასებლობა მაშინ, როცა ყველაზე მეტად გვჭირდება გავიგოთ, შევიგნოთ და გავითავისოთ ის, რომ ეს ჩვენი ე. წ. „აჭარული სინდრომი", ერთადერთ იმედად შემოუნახავს ჩვენთვის განგებას. შემოუნახავს იმისათვის, რომ გონს მოვეგოთ და იგი მთელი საქართველოს კუთვნილებად ვაქციოთ.

დღე ერთია და ჭორი და მითქმა-მოთქმა ათასი: — არიქა, აჭარაში მოლები ჩამოსულან და ყურანით ხელში დასდევენო ჩვენს ბავშვებს, აჭარა უკვე თურქეთის 72-ე ვილაიეთად ჩაურიცხავთო, აჭარას რუსეთის პროტექტორატის სტატუსისთვის ამზადებენ და, ვინ მოთვლის, კიდევ სხვა რამდენი ასეთი რამ გვიხუთავს სულსა და გონებას, გვჭრის ყურს და ბოლმით გვავსებს ქართველებს. ნუთუ, ვერ უნდა მივხვდეთ იმას, რომ ვიღაცას სწადია, სიმშვიდისა და სტაბილურობის ეს უკანასკნელი იმედის ნავთსაყუდელიც მოგვიშალოს და კიდევ ერთი კოცონი დაგვინთოს. განა ამაზე არ მიუთითებს უკანასკნელ ხანს რუსეთის ტელევიზიისა და პრესის განსაკუთრებული „დაინტერესება" აჭარით, აქ მიმდინარე მოვლენებით? ამას ზოგიერთი ჩვენებურის ამბიციები, შური და ბოლმაც წავუმატოთ და...

ცხადია, ყველაფერი ის, რაც ახლა მოგახსენეთ, ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველდღიური განსჯისა და გულისტკივილის საგანია და ამიტომაც გადავწყვიტეთ ვწვეოდით აჭარას, ბათუმს და უშუალოდ ადგილზე გვენახა და შეგვეგნო ის, რაც ახლა ხდება აჭარაში.

სწორედ ამ მივლინების დროს ნანახს და განცდილს შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში. დღეს კი, ქართული ფლოტით, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პრობლემებით დავიწყოთ.



ქართული ფლოტი-აი, ვინ იქნება შავი ზღვის ნამდვილი პატრონი

აბა, ვინ წარმოიდგენს აჭარას, ბათუმს უზღვოდ. ზღვა უდიდესი სიკეთეა საქართველოსი და ალბათ, ამიტომაც არის, რომ ათასი მეზობელი თუ გადამთიელი შენატრის ჩვენს ბედსა და იღბალს. ზოგი ცხადად გვეომება კიდეც, რომ მთლიანად თუ არა, ზღვის ნაწილი მაინც წაგვართვას და მსოფლიოში გასასვლელი დაიმკვიდროს. ზოგიც ვერა და ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ზღვის სივრცის დათმობა მოუწევს და ჯიქურ ცდილობს თავისი სვავობა სტრატეგიული სამხედრო მიზნების აუცილებლობით გაამართლოს.

ქართველობაც და დღევანდელი მსოფლიო სამართალიც ყველას მიუზღავს თავისას. ამასობაში კი საქართველოს, მის მეზღვაურებს, რომლებსაც დღეს არცთუ ისე მცირე საზღვაო-სავაჭრო ფლოტი ერგოთ ყოფილი „საბჭოეთისაგან", მართლაც სტრატეგიული ქართული ამოცანის გადაწყვეტა — ქართული საზღვაო-სავაჭრო ფლოტის მშენებლობა აქვთ დაკისრებული.

— შავი ზღვა და ქართული საზღვაო-სავაჭრო ფლოტი ნამდვილი იმედია საქართველოსი. ამ ძნელბედობის ჟამს როგორ ართმევენ თავს ამ სერიოზულ ამოცანას ქართველი მეზღვაურები?— სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსთან რომან ახობაძესთან.

— დავიწყოთ იმით, — გვითხრა ბატონმა რომანმა, — რომ რუსეთმა უკვე მიიღო თავისი საზღვაო-სავაჭრო ფლოტის აღორძინების პროგრამა და დიდძალი თანხებიც გამოყო ამისათვის. როგორც იცით, რუსეთს არც უკრაინა ჩამორჩა. ეს საკმაოდ დიდი ფლოტის მფლობელი ქვეყანა ახლა ცდილობს შექმნას აგრეთვე სპეციალიზებული ნავთობმზიდი ფლოტიც, რომელიც უზრუნველყოფს მას ნავთობპროდუქტებით, სამწუხაროდ, საქართველოს დღეს ასეთი დიდი პროგრამების განხორციელება არ ძალუძს. ასე რომ, ახლა სანაოსნოს ბედი ისევ ქართველ მეზღვაურებს აბარია და მხოლოდ მათ უნდა უზრუნველყონ თავიანთი ფლოტის მომავალი. დღეს ჩვენი სანაოსნოს განკარგულებაშია 41 სავაჭრო გემი და ორი დამხმარე ხომალდი (სულ 43 ერთეული), რომელიც ჩვენ გადმოგვეცა. მართალია, საქართველოს საზღვაო-სანაოსნო 25 წელია არსებობს, მაგრამ ნამდვილი დამოუკიდებელი ცხოვრება მაინც [illegible]ლი წლის იანვრიდან დავიწყეთ. ამ გარემოებამ, ცხადია, სიკეთესთან ერთად ბევრი პრობლემაც გაგვიჩინა. თუ ადრე ყოფილი საკავშირო სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი ვიყავით შესაბამისი ტვირთით, დასაქმებითა და დაფინანსებით, დღეს ეს ჩვენი საკუთარი საზრუნავი გახდა. ჩვენი ფლოტი, როგორც იცით, ხანდაზმულია, რაც თავისთავად ათასი პრობლემის წინაშე გვაყენებს. დამოუკიდებელი მუშაობა კი თითქმის უფულოდ, უსახსროდ დავიწყეთ. ანგარიშზე სულ რაღაც 2,5 მილიონი დოლარი გვქონდა, მაშინ როცა ჩვენს მიერ უკანასკნელ წლებში დაგროვილი 40 მილიონი დოლარი ყოფილმა საკავშირო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ბანკმა გაყინა და დღემდე არ გადმოუცია. ამას წინათ ჩვენთან მყოფ რუსეთის პარლამენტის წევრებს დავუყენეთ ეს საკითხი... მათ აღგვითქვეს, რომ ამას გაითვალისწინებენ მაშინ, როცა დადგინდება ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალები.

— ღმერთმა ქნას, ბატონო რომან, გაითვალისწინონ და დაგვიბრუნონ ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ ამის იმედად ჩვენი მტერი იყოს, რუსეთის „მფარველობიდან" გამოსვლამ ალბათ ბევრი სხვა პრობლემაც გაუჩინა სანაოსნოს.

— ცხადია, გაუჩინა.... ჩვენი გუშინდელი მოკავშირე სანაოსნოები ახლა ჩვენი კონკურენტები გახდნენ. მათ აქვთ სათანადო ბერკეტები იმისათვის, რომ შეაფერხონ ჩვენი საქმიანობა, რაც დაბრკოლებას უქმნის ჩვენს გემებს, რომლებსაც სჭირდებათ სანავსადგურო მომსახურება. ამის გამო ხშირია მოცდენა, დაბრკოლებები, დამატებითი სიძნელეები. ადრე ჩვენს უკან იდგა დიდი ქვეყანა, თავისი დიდი შესაძლებლობებით, საზღვარგარეთის ნავსადგურებში გახსნილი აკრედიტივებით.

გემი დაუყოვნებლივ მუშავდებოდა, არ იყო მოცდენები. ახლა ფული წინასწარ უნდა გადაიხადო. ეს დიდი თანხებია... გაგვიჭირდა, რადგან რესპუბლიკა ვერ უზრუნველყოფს ჩვენს მოთხოვნებს. საწვავს, საპოხ მასალებს, პროდუქტს ვიძენთ საზღვარგარეთ, ასე რომ იძულებული ვართ შემოსავლის 74 პროცენტი ისევ ფლოტის საჭიროებებს მოვახმაროთ. ამას თან ერთვის აგრეთვე ჩვენთან შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებაც, რაც არ იძლევა საშუალებას მთელი დატვირთვით ვამუშაოთ ჩვენი ნავსადგურები. მაგრამ ნავსადგურებმა მაინც შეასრულეს თავიანთი მოვალეობა გასულ წელს, მიიღეს და დაამუშავეს დიდძალი ხორბალი, შაქარი, ხორცი, ფქვილი, კარაქი, ზეთი და სხვა პროდუქტები, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვისაც.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ საერთო სიდუხჭირის დროს, სანაოსნომ შეძლო თავისი თავის შენახვაც და 3,5 მილიონი დოლარის მოგებაც, მაგრამ ეს მაინც მცირეა იმ პროგნოზთან შედარებით, ჩვენ რომ გვქონდა დაგეგმილი. არ გვეგონა, თუ ასე უცბად აღმოვჩნდებოდით გარიყული იმ საერთო სიტუაციიდან, რომელიც ადრე გვქონდა.

როგორც ვთქვი, ჩვენ ხანდაზმული ფლოტი გვყავს და აქედან გამომდინარე, დიდია დანახარჯები მის შეკეთებაზე. თუ ადრე უკრაინისა და რუსეთის გემთშემკეთებელ ქარხნებს ვიყენებდით, ახლა მათ ისე გაზარდეს საფასური და შეკეთების დროც, რომ, ვფიქრობთ, გემები ისევ საზღვარგარეთ შევაკეთოთ. ერთი გემის რემონტი საზღვარგარეთ დაახლოებით 2,5 მილიონ დოლარი ჯდება, წელიწადში კი ათი გემის შეკეთება მაინც გვიწევს. ასე რომ, წარმოიდგინეთ, რა ხარჯებია ამისათვის საჭირო.

— ბატონო რომან, ხედავთ კი რაიმე გამოსავალს ამ მდგომარეობიდან?

— ფლოტის განვითარება სახელმწიფოს დაუხმარებლად შეუძლებელია. საჭიროა კრედიტები. ჩვენ ახლა ვაპირებთ საზღვარგარეთის ბანკებში ავიღოთ კრედიტები და მისი საშუალებით შევიძინოთ მცირე ტონაჟის — 3,4 ათასი ტონა ტვირთამწეობის გემები. ჩვენ ახლა დიდტონაჟიანი გემები გვყავს. კრედიტებს კი მოგვხსენებათ, გარანტიები სჭირდება. ასეთი გარანტიების შესაქმნელად ვფიქრობთ გამოვიყენოთ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა და დავაგირაოთ ჩვენი რამდენიმე გემი. შემდეგ ახლად ნაყიდი გემის დაგირავებაც შეიძლება, მხოლოდ ასე უნდა შევქმნათ ქართული ფლოტი, ახლა სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

— დღეს საქართველოს უჭირს. უჭირს სანაოსნოსაც. მაგრამ გასაკეთებელი მაინც უნდა გაკეთდეს. ბატონო რომან, თქვენ ის ხალხი არა ხართ, განზე რომ იდგეთ ჩვენი საერთო გასაჭირიდან. რას აკეთებთ იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ ჩვენს მეომრებს აფხაზეთში და საერთოდ, რა დამოკიდებულება აქვთ ქართველ მეზღვაურებს აქ შექმნილი ვითარებისადმი?

— ეს ომი ჩვენი საერთო სატკივარია და ყველა ვზრუნავთ იმისათვის, რომ ჩვენი წვლილიც იყოს მის წარმატებით დამთავრებაში. რამდენიმე მილიონი მანეთი გადავრიცხეთ თავდაცვის ფონდში, ლტოლვილთა დასახმარებლად. ჩვენი მეზღვაურთა სასტუმროები ახლა ლტოლვილებს აქვთ დაკავებულნი. ისინი, რომ იტყვიან, ჩვენი კოლექტივის სრულ კმაყოფაზე არიან.

ჩვენი მცირე სანაპირო ცურვის ფლოტს გადააქვს სხვადასხვა ტვირთი აფხაზეთში დისლოცირებული ჯარისა და მოსახლეობისათვის, გამოჰყავს ლტოლვილები. ჩვენმა პატარა გემებმა და კატარღებმა დღემდე 40 ათასამდე მგზავრი გამოიყვანეს აფხაზეთიდან. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი შესაძლებლობებით ვართ ჩართული ამ საქმეში და ყველაფერს ვცდილობთ ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

— ბატონო რომან, ჩვენი დიპლომატიის მიერ უკანასკნელ ხანს აღმოსავლეთით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მთელ რიგ პერსპექტივებს უსახავს ჩვენი შავი ზღვის ნავსადგურებს, მათ შორის ალბათ ჩვენს სანაოსნოსაც ეკონომიკური კონტაქტების გაფართოებაში. თქვენ როგორ გაქვთ წარმოდგენილი ეს პროცესი?

— მართალი ბრძანდებით. პერსპექტივა მართლაც დიდია. ამისათვის უნდა შევინარჩუნოთ ფლოტის ტვირთამწეობის დონე, გავზარდოთ ჩვენი ნავსადგურების ტვირთდამუშავების სიმძლავრეები. საჭიროა პირველ ეტაპზე მკვეთრად გადავახალისოთ ის მექანიზმები, რომლებიც ახლა მუშაობს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში. რაც შეეხება მეორე ეტაპს, ცხადია, ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ ამ პორტების ტვირთგამტარობის, სიმძლავრეების მკვეთრად გაზრდისათვის.

აი, ადრე გითხარით, უკრაინა სატანკერო ფლოტს აყალიბებსო. ნავთობპროდუქტი კი უნდა წამოვიდეს სპარსეთის ყურიდან. იქიდან შავ ზღვამდე გემს 12 დღე-ღამე სჭირდება. თანაც სუეცზე გავლა დიდი თანხა — 100-125 ათასი დოლარი ღირს. ასე რომ ძალზე მომგებიანია ამ ნავთობპროდუქტმა მილსადენით მოაღწიოს შავ ზღვამდე ირანის, აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით და ბათუმის ნავსადგურიდან გავიდეს უკრაინაშიც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც. დღეს ბათუმის ნავსადგურს შეუძლია 8 მილიონი ტონა ნედლეული დაამუშაოს. ვფიქრობ, ეს პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს, დიდ მოგებას მისცემს საქართველოს.

— ყველამ ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვიცით, რომ ზღვა და ფლოტი განსაკუთრებულ წესრიგსა და დისციპლინას მოითხოვს. ეს, როგორც იტყვიან, აქსიომაა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან?

— რა თქმა უნდა, საერთო აშლილობამ ჩვენს დისციპლინაზეც იმოქმედა. ასეთი მოვლენები ფლოტშიც შემოიჭრა. ახლა აქ იშვიათობა აღარ არის შეიარაღებული მეზღვაური, მაშინ, როდესაც თავად კაპიტანს, რომელიც გემზე ფლობს სხვადასხვა ფასეულობებს, მათ შორის გარკვეულ თანხებსაც, არა აქვს უფლება იარაღი ჰქონდეს.

ახლა ამას ისიც დაერთო, რომ ზღვებზე გახშირდა მეკობრეობა. აი ამასწინათ ჩვენს ერთ გემს „მხატვარ გერასიმოვს", რომელიც ჩინეთის ზღვაში ერთი ნავსადგურიდან მეორეში გადადიოდა, ღამე თავს დაესხნენ მეკობრეები, მაგრამ ეკიპაჟმა შეძლო მათი მოგერიება და არ ამოუშვა გემბანზე.

ახლა ვმუშაობთ ამ საკითხებზე და ვფიქრობთ, მალე განვიხილავთ და მივიღებთ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფლოტზე დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას. უკვე გადავედით ე. წ. საკონტრაქტო სისტემაზე, რაც თავისთავად ამაღლებს მეზღვაურთა შრომის დისციპლინასა და პასუხისმგებლობას. დღეს ჩვენ მეზღვაურებს თვეში ვუხდით 14 ათას მანეთს, ხოლო ზღვაში ყოფნისას 350 დოლარს, ამას ემატება ყოველდღიური კვების 5 დოლარიც, რაც არც თუ ისე ხელწამოსაკრავი ანაზღაურებაა ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში. ამას, ცხადია, უნდა გაუფრთხილდეს კაცი.

ჩვენს საუბარს ბატონ რომან ახობაძის კაბინეტში, ბათუმის პორტის უფროსი ბატონი ასლან ბოლქვაძეც შემოუერთდა. ვიფიქრე, ალბათ ახლა ის დროა, რომ შევეკითხო:

— ბატონო რომან, ბატონო ასლან, გარდა იმისა, რომ თქვენ დიდ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობთ, აჭარისა და ბათუმის მოქალაქეებიც ბრძანდებით. ალბათ თქვენც ისმენთ და კითხულობთ მითქმა-მოთქმას, რასაც უკანასკნელ ხანს ამბობენ აჭარაზე, აქ მიმდინარე მოვლენებზე. თქვენ რას იტყოდით?

რ. ახობაძე— რას გეტყვი, ჩემო ძმაო, და გეტყვი იმას, რომ ყველაფერი ის, რაც აჭარაში ხდება, ჭკვიანმა კაცმა და ხალხმა იმ კარგ საწყისად უნდა მიიჩნიოს, რომელიც ასეთ უბედურ დღეში ჩავარდნილ მთელ საქართველოს გააერთიანებს. ალბათ, მხოლოდ ბეცებს და მტრებს არ შეუძლიათ დაინახონ ეს, რადგან არ აძლევთ ხელს ჩვენი მამულის ერთიანობა, შეკავშირება.

ა. ბოლქვაძე — ოჯახში რომ ყველა წაკინკლავდება, ერთი ვინმე მაინც ხომ უნდა დარჩეს ისეთი, ვინც დააცხრობს, დააშოშმინებს და შეარიგებს ყველას. ესმის კი ზოგიერთს რა მოხდებოდა აჭარაც რომ აშლილიყო? ახლა ერთი განმსჯელი და შემრიგებელი მაინც გვყავს და მოდით მოვუაროთ და გამოვიყენოთ. ჩვენი მეისტორიენი ამბობენ, ქრისტიანობა აჭარიდან გავრცელდაო მთელ საქართველოში და ახლა რა ღმერთი გაგვიწყრება, რომ სიმშვიდე და წესრიგი, კაცობა და თანადგომა ვეღარ გავავრცელოთ. ეტყობა, ჯერ ისევ რაღაც უნდობლობის ჭია, ამბიცია და სხვა უბედურება გვჭამს ქართველებს თორემ რომელ ჭკუათამყოფელს მოუვა აზრად აჭარას საქართველოდან, მისი პრობლემებიდან განდგომილის სახელი შეარქვას. ვინ ვინ და აჭარამ ყოველთვის იცოდა და დღესაც იცის ნამდვილი საქართველოს, ნამდვილი ენისა და მამულის ფასი და თუ ვინმეს სურს ამ მეოცე საუკუნის მიჯნაზე რაღაც რელიგიური კოზირის გათამაშება, მწარედ შემცდარა.

რ. ახობაძე — ჩვენ ყველანი აქ ერთ ქართულ საქმეს ვემსახურებით და ვერც შინაური და ვერც გარეული ვერ გადაგვახვევინებს ამ გზიდან, მითუმეტეს, მაშინ, როცა აქ აჭარაში ხელმძღვანელიდან დაწყებული რიგით მოქალაქემდე ყველა ერთი სულისკვეთებით არის განმსჭვალული— დროზე მოვუაროთ ჩვენი საქართველოს საერთო ტკივილსა და ჭრილობებს.

— ბატონო ასლან, ბარემ ვისარგებლებ თქვენი მობრძანებით და ბათუმის პორტის პერსპექტივებზე გთხოვთ ინფორმაციას.

— პორტის რეკონსტრუქცია ორ ეტაპად გვაქვს განზრახული. პირველი — რაც შეიძლება მალე უნდა დავნერგოთ თანამედროვე საპორტო მექანიზაცია, ახალი ტექნიკა, თორემ ჩვენნაირი ამწეებით დღეს აღარავინ სარგებლობს მსოფლიოში. დავნერგავთ დიდი წარმადობის სპეციალურ დანადგარებს, რომლებიც მიიღებენ ხორბალს, ნავთობპროდუქტების ახლანდელ ნავმისადგომთან გვინდა შევქმნათ ხორბლის დასაცლელი კომპლექსი თავისი ელევატორით, რაც დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოს, ახლა ამ ეტაპის განხორციელებაზე უკვე მუშაობენ ბერძენი სპეციალისტები. ეს საშუალებას მოგვცემს, პორტმა 20-30 მილიონი ტონა ტვირთი გადაამუშაოს. შემდგომ ეტაპზე გაშენდება სრულიად ახალი ნავსადგური თანამედროვე ტექნიკით, მექანიზაციით. მალე ბატონი ასლან აბაშიძე ამ საკითხის მოსაგვარებლად ჩავა საბერძნეთში, სადაც ერთობლივად განიხილავენ ამ პროექტს.

უნდა ისიც გითხრათ, რომ მიუხედავად გაჭირვებისა, ბათუმის პორტი ერთი დღითაც არ გაჩერებულა. არ ყოფილა არავითარი შეყოვნება. ყველა დოკერს კარგად ესმის ჩვენს სამშობლოში შექმნილი ვითარება და ამიტომაც ძალ-ღონეს არავინ იშურებს. ჩვენც ვცდილობთ შევუქმნათ მათ შრომისა და ცხოვრების სათანადო პირობები, ჩამოვაყალიბეთ დამხმარე საფრინველე მეურნეობა, ახლა მეღორეობის კომპლექსს ვაშენებთ. ერთი სიტყვით, გემები ბევრი გვაქვს, ოღონდ მშვიდობა იყოს.

— კიდევ ერთი სიახლეც გვაქვს, — გვეუბნება ბატონი **რომან ახობაძე**, — გასულ წელს გავხსენით ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, რომელიც გვიმზადებს კადრებს ქართული ფლოტისათვის. გემთწამყვანები, ელექტრომექანიკოსები, მექანიკოსები ჩვენ შეგვეძლო უფრო ნაკლები დანახარჯებით საზღვარგარეთ მოგვემზადებინა, მაგრამ, აბა, როგორი საზღვაო ქვეყანა ვიქნებოდით, თუ ახლავე არ შევქმნიდით ამისათვის საწარმოო-ტექნიკურ ბაზას. თანდათანობით ვყიდულობთ სათანადო სასწავლო ტექნიკას, მოწყობილობას... საქმე კარგად მიდის. ის კი არადა, უკვე თურქეთის წარმომადგენლებიც სწავლობენ ჩვენს სასწავლებელში. ერთი სიტყვით, მართალია, მთლად დალხინებული არა ვართ, მაგრამ აჭარაში შექმნილი ატმოსფერო, სიმშვიდე და წესრიგი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ უფრო მეტი ვიფიქროთ და ვაკეთოთ ჩვენი საქართველოსათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონებო!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ყურადსაღები მოსაზრება

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ უნდა შეიქმნას არა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს, არამედ ნატოს მსგავსი რეგიონალური უშიშროების სისტემა. ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა იაპონიის გაზეთ „ნიჰონ კეიძაისათვის" მიცემულ ინტერვიუში. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ტიპის შეიარაღებისადმი კონტროლის მუდმივი ორგანოს შექმნის იდეა, რომელსაც ზოგიერთ წრეებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გვთავაზობენ, ნაკლებად ეფექტიანად გვესახება ნატოს მოდელის გამოყენებასთან შედარებით, რადგან, თუ არ იქნება ერთიანი შეიარაღებული ძალები, ამგვარ წარმონაქმნს არ ექნება ჯეროვანი გავლენა.

საჭიროა დიალოგი

ევროპის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობა, ვითარება რუსეთში და იუგოსლავიის კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს ბრიუსელში გამართულ „ევროპის სამეულის" საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დანია, დიდი ბრიტანეთი და ბელგია, აგრეთვე „ვიშეგრადის ჯგუფის" ქვეყნები, სადაც შედიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი.

იგი მოეწყო ევროპის გაერთიანებისა და „ვიშეგრადის ჯგუფის" პოლიტიკური დიალოგის გაფართოების ფარგლებში „თორმეტეულის" სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომ ამ დიალოგს რეგულარული ხასიათი მიენიჭოს.

თითო აბზაცით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა კამბოჯის უმაღლესი ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას ქვეყნის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნები მოეწყოს 1993 წლის 23-27 მაისს. ეს ნათქვამია უშიშროების საბჭოს 810-ე რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიიღეს ორშაბათს გამართულ საბჭოს სხდომაზე.

ანგოლის ეროვნულმა ასამბლეამ ორშაბათს საერთაშორისო გაერთიანებას მოუწოდა მოაწყოს ეფექტიანი სანქციები უნიტას წინააღმდეგ, თუ ეს ოპოზიციური ორგანიზაცია არ შეწყვეტს სამხედრო მოქმედებას ქვეყანაში და არ გაიყვანს თავის ჯარებს შარშან სექტემბერში საყოველთაო არჩევნების შემდეგ დაპყრობილი დასახლებული პუნქტებიდან.

სარედაქციო ფოსტიდან

„საქართველოს ხალხის კონგრესი" — ფიქცია თუ სინამდვილე?"

ამ რამდენიმე თვის წინათ ერთთაშორის მოძრაობა „საქართველოს მოქალაქეში" გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მოღვაწეებმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს — მოეწყვიათ და დაეფუძნებინათ „საქართველოს ხალხის კონგრესი".

კონგრესის უმთავრესი მიზანია, რომ ახალი ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ხელი შეუწყოს „საქართველოს მოქალაქისა და საქართველოს ხალხის" ცნებების დამკვიდრებას, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების მოქალაქეთა სულიერ, ინტელექტუალურ თანადგომას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი სრულუფლებიანი მოქალაქის ღირსების შეგრძნებას.

კონგრესი დაფუძნდა. ავირჩიეთ საბჭოც და მისი სამი თავმჯდომარეც. ესენი გახლავან პარლამენტარები: გია ბარამიძე, ადა მარშანია და ებრაელთა საზოგადოება „დერეხ ეგუდის" თავმჯდომარე — ვლადიმერ ფიჩხაძე.

ბატონ გია ბარამიძისა და ქალბატონ ადა მარშანიას დიდი დატვირთვა საპარლამენტო საქმიანობით, ცხადია, მათ არ აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად და მიზანმიმართულად ითანამშრომლონ კონგრესში, მესამე თავმჯდომარეს — ბატონ ვლადიმერ ფიჩხაძეს კი სულ სხვაგვარად წარმოუდგენია კონგრესის დანიშნულება. ნაცვლად იმისა, რომ შევქმნათ კონგრესის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენს წინაშე დასახული პატრიოტული მიზნების განხორციელებაში, მას სურს კონგრესი სხვადასხვა კომერციული სტრუქტურების გაერთიანებად აქციოს და მისი პატრიოტული ფირნიშით შენიღბულად ისარგებლოს.

აქედან გამომდინარე, თავს მოვალედ ვთვლი განვაცხადო, რომ კონგრესი ფართო საზოგადოებრივი სტატუსით მოქმედი ორგანიზაციაა და იგი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს რომელიმე სახელმწიფო ან პარტიულ სტრუქტურაზე, მითუმეტეს დაუშვებელია მისი გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.

საჭიროა უპირველესად ჩამოყალიბდეს კონგრესის შიდა ორგანიზაციული სახე, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ იმ პრინციპების შესაბამისად, რასაც ითვალისწინებს თვით კონგრესის დამფუძნებლების — საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების და მათთან ერთად გაერთიანებული ქართველობის ერთიანი სახალხო ინიციატივა.

მალხაზ ჟვანია,
„საქართველოს ხალხის კონგრესის" საბჭოს წევრი.

უმჯობესია ნაკლებად გვმოძღვრავდნენ

ტელევიზიით ვუყურე და მოვუსმინე დეპუტატ თ. ფიფიას გამოსვლას, სადაც მან სამეგრელოში ბოლო დროს დატრიალებულ ტრაგედიაზე ილაპარაკა. მაგრამ ეს ტრაგედია მარტო მას როდი აღელვებს. პირადად მე დიდი იმედით ველი ახლახან შექმნილი კომისიის დასკვნას სამეგრელოში მომხდარ ამბებზე და ვიმედოვნებ, რომ ეს დასკვნა ობიექტური და სამართლიანი იქნება. აჯობებდა, თ. ფიფია დალოდებოდა ამ კომისიის დასკვნას და მერე ემსჯელა მტყუან-მართალზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უფრო მეტიც — სამეგრელოს ტრაგედიას მან გადააბა „იბერია-სპექტრის" რედაქტორის პრობლემაც: მან იკისრა მისი „გასუფთავება" და ბრძანა, რომ „იმ დროს", ე. ი. „კომუნისტების დროს", ყველა ჟურნალისტი ისევე ემლიქვნელებოდა მთავრობას, როგორც ხსენებული პიროვნებაო და ამაში გასაკვირი არაფერი არისო.

თავისთავად ეს დასკვნა სწორი არ არის. ყველა ჟურნალისტი არ ემლიქვნელებოდა არსებულ რეჟიმს, მაგრამ დავუშვათ, რომ ეს ასეც იყო. ი. გოცირიძის შემთხვევა მაინც განსაკუთრებულია. ყველა ჟურნალისტი არ აბეზღებდა გარკვეულ პიროვნებას. ი. გოცირიძეს ცოდვად ისიც ეყოფა, გამოჩენილი მეცნიერი, პროფ. სერგი მაკალათია რომ დააბეზღა. კარგია, რომ ეს არ მოხდა 1937 წელს, თორემ პროფესორს დახვრეტა არ ასცდებოდა.

სავსებით კომიკურად ჟღერდა თ. ფიფიას მოხსენების ის ნაწილი, სადაც მან თავისი პარტიის ლიდერის საღ-სალამათად გადარჩენა 9 აპრილის ღამეს მიაწერა იმავე ქალებსა და მოზარდებს, რომელნიც თურმე რკალად შემორტყმიან იმ ლიდერს, თვითონ ჩახოცილან, ხოლო იგი კი გადაურჩენიათ.

საერთოდ ურიგო არ იქნება, რომ ახალგაზრდა და ვაჟკაცური შესახედაობის მამაკაცები, ისეთები, როგორიც თ. ფიფიაა, ნაკლებად გვმოძღვრავდნენ კათედრიდან და აფხაზეთში იდგნენ სამშობლოს დასაცავად.

პატივისცემით
კარლო ქანთარია.

იარაღთან თამაში საშიშია

მოსახლეობა მოწონებით შეხვდა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1993 წლის 8 თებერვლის ბრძანებას ქ. თბილისში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რასაც თანდათან მოაქვს პრაქტიკული შედეგები.

ამ ფონზე სრულიად გაუგებარია ჩვენი პარლამენტის სხდომაზე იარაღის კანონის მიღებასთან დაკავშირებით ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლა... ჩვენი აზრით, სხდომაზე გამოსული ზოგიერთი დეპუტატი პირად აზრს საზოგადოების აზრად ასაღებს, ხოლო მათ პირად ინტერესებს მშრომელი ხალხის ინტერესებად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა ორატორმა პოლიციის ქვედანაყოფებზე, სამხედრო ნაწილებზე და სხვა ორგანიზაციებზე თავდასხმის და ყაჩაღობის შედეგად უკანონოდ ნაშოვნი იარაღის შენახვის და ტარების დაკანონება მოითხოვა.

მივესალმებით პარლამენტის სხდომაზე იარაღის კანონის განხილვასთან დაკავშირებით ბატონების თენგიზ კიტოვანის, თედო ნინიძის და სხვათა გამოსვლას და მოვითხოვთ მოსახლეობას ჩამოერთვას უკანონოდ ნაშოვნი ყოველგვარი იარაღი და არ იქნას გათვალისწინებული კანონით მოქალაქეებზე არც ერთი სახის იარაღის (გარდა სანადირო თოფებისა) შენახვისა და ტარების უფლების მიცემა. ეს უნდა გაკეთდეს, თუ კი გვსურს, რომ რესპუბლიკაში წესრიგი დამყარდეს და შემცირდეს მკვლელობა, ბანდიტიზმი, ძარცვა და სხვა.

ღმერთმა ნუ ქნას, თუნდაც რევოლვერის ტიპის იარაღის შენახვის ან ტარების დაკანონება, თორემ ეს ხელს მისცემს არა მშრომელებს, არამედ იმ ბანდიტებს და მაფიას, რომელთა მოქმედებამაც რესპუბლიკის ყველა სფეროში უწესრიგობა და ქაოსი შექმნა. თუ იარაღის ტარებაზე ნებართვის მიცემას იმით ავხსნით, რომ შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ უკანონო იარაღის ამოღებას, მაშინ უკანონობა კი არ უნდა დაკანონდეს, არამედ ის ხელმძღვანელები უნდა შეიცვალონ, ვისაც უკანონო იარაღის არც ამოღება შეუძლიათ და არც ამის სურვილი აქვთ.

ბიძინა მელაძე,
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,
ლევან მაღრაძე,
— თანათავმჯდომარე.

ყველაფერს ძველს ნუ გადავაგდებთ

პატივცემულო რედაქციავ, მიწების პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რთულ მდგომარეობაში ჩავარდა მშრომელი კაცი. იმის მაგივრად, რომ გლეხს უხაროდეს მიწის მიღება, ტელევიზიით ნათქვამი „პრივატიზაცია" უსიამოვნების გრძნობას იწვევს. ამისი მიზეზი მრავალია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ყველაფერი ნაუცბათევად მოხდა, რამაც მთელი რიგი დარღვევები გამოიწვია: არ შედგა მიწის კადასტრი, ჯეროვნად არ ჩატარდა კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ოდენობის აღრიცხვა და მრავალი სხვა. მაგრამ ძირითადად ტექნიკის ნაკლებობაა ხელის შემშლელი. მიწას რომ ვიღებთ, დამუშავება გვიჭირს.

თქვენი გაზეთის გასული წლის 17 დეკემბრის ნომერში წავიკითხე მწერალ გიორგი პაპუაშვილის ინტერვიუ, რომელშიც მიწის პრივატიზაციაზეც საუბრობს. აღნიშნავს, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ სოფლის მეურნეობაში ერთ დროს არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. იქვე შენიშნავს: „მაშინ კი, არა, ახლაც რომ არსებობდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ძალიან წაადგებოდა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას. გლეხი მაშინ უარს არ იტყოდა მიწის დასაკუთრებაზე. მას მხოლოდ მიწის ძირითადი სამუშაო—მოხნა, კულტივაცია და დათესვა აშინებს, დანარჩენი კი, რაც მის მარჯვენაზეა დამოკიდებული, არ გაუძნელდება". სრული სიმართლეა. ისიც სიმართლეა, როცა ამბობს: „ძველს როცა ვანგრევთ, იმ ძველში, რაც გონივრულია, ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ, სტალინის მოგონილი იქნება ეს, ნიკოლოზისა თუ ნიუტონისა".

ეს აზრი მშრომელი გლეხისთვის ახლობელი და გასაგებია. კარგი იქნება, სანამ სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა მთლიანად გაიყიდებოდეს, მისგან შეიქმნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა თუ პარკის მსგავსი რამ, რომელიც სახელმწიფოს დაექვემდებარება და რომლიდანაც საშუალება ექნება გლეხს, გამოიწეროს ტექნიკა და დაამუშაოს მიწა. არადა, ძნელია, გლეხმა თვითონ ყველა სახის ტექნიკა შეიძინოს, რაც მას სჭირდება ანდა მეზობლებთან იაროს კარდაკარ.

თენგიზ ოქრომჭედლიშვილი.
საგარეჯო.

სარედაქციო ფოსტიდან

გიორგი ლალიაშვილი

მაგიური ძალის ფილმი

ძალზე იშვიათად ჟურნალისტებსაც იპყრობს ხოლმე ფარული სიამაყის გრძნობა, ჰოდა, ახლა, როცა უკვე მესამედ მიწევს წერა თემურ ბაბლუანის ფილმზე — „უძინართა მზე", ვატყობ, რომ მსგავსი რაღაც მეც მჭირს. შარშან ვწერდი: „ათი წელიწადია ბაბლუანს კინოში არაფერი შეუქმნია, მაგრამ ასეთი ხანგრძლივი პაუზა ნამდვილად ღირს, თუკი ისეთი ფილმი დაიბადება, როგორიც „უძინართა მზეა"... თეატრალური სანახაობის შემდეგ დაბადებული ტაში სავსებით ბუნებრივია, მაგრამ კინოსეანსის შემდეგ გამართული ოვაცია, მართლაც, იშვიათობაა და ამგვარი ხვედრისა აღმოჩნდა „უძინართა მზე", მაგიური ძალის ფილმი, რომელიც წლების მანძილზე დაცარიელებულ მაყურებელთა დარბაზებს კვლავ ხალხით აავსებს, კინოსკენ მიუხმობს".

კინოსტუდია „ადამ და ევაში" შარშან დამთავრებული ფილმის ეკრანული ცხოვრება ტრიუმფული აღმოჩნდა: — თავიდან იყო სოჭის „კინოტავრის" გრან-პრი, მოსკოვის „ინტერფესტ-92"-ის ერთადერთი — მაყურებლის პრიზი, ქართული კინოს პირველი ფესტივალის „ოქროს არწივის" გრან-პრი და აგერ სულ ბოლო — უაღრესად შთამბეჭდავი გამარჯვება: „უძინართა მზე" ბერლინის 43-ე საერთაშორისო ფესტივალის „ვერცხლის დათვის" მფლობელია!

ბერლინიდან დაბრუნებისთანავე შევხვდით ბატონ თემურ ბაბლუანს, აი რა გვიამბო მან:

— ბერლინის ფესტივალი ბოლო დროის ერთ-ერთ ცენტრალურ კინოდათვალიერებად ითვლება და იგი თავისი რანგით კანისა და ვენეციის კინოფესტივალებს უტოლდება. წლეულს ბერლინის ფესტივალი 11-23 თებერვალს მიმდინარეობდა. მას 1000-ზე მეტი აკრედიტებული ჟურნალისტი ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ამ ფესტივალის ძირითად კონკურსში თანაბარი უფლებებით მონაწილეობს მხატვრული, დოკუმენტური თუ ანიმაციური ფილმები. ძირითადი კონკურსის პარალელურად აქ ეწყობა ხოლმე „ფორუმი" ე. წ. „ახალგაზრდული კინოს დათვალიერება". ფესტივალის ჟიურიში თერთმეტი კაცი შედიოდა, თავმჯდომარე იყო გერმანელი კინორეჟისორი ფრანკ ბაიერი. ძირითად კონკურსში 25 მხატვრული სურათი დაუშვეს. ბერლინის ფესტივალის მთავარი პრიზებია ორი „ოქროსა" და ექვსი „ვერცხლის დათვი". აქვე ჩამოვთვლი ვისაც მიეკუთვნა ისინი. „ოქროს დათვი" დაიმსახურა ჩინურმა ფილმმა „ქალები სურნელოვანი ტბიდან" და ტაივან-ჩინეთის ერთობლივმა ფილმმა „საქორწინო ბანკეტი". „ვერცხლის დათვები" ასე განაწილდა: ჰუმანიზმისათვის მიენიჭა ჩვენს ფილმს. საუკეთესო რეჟისურისათვის ენდრიუ ბირკინს ფილმისათვის „ცემენტის ბაღი" (ინგლისი), სპეციალური პრიზით აღინიშნა ემილ კუსტურიცას „არიზონა ოცნება" (საფრანგეთი), მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს დენზელ ვაშინგტონი, ფილმში „მალკოვ X", ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად — მიშელ პფაიფერი, ფილმში „სიყვარულის მდელო", „ვერცხლის დათვი" მიენიჭა აგრეთვე ბურკინო სასოს (იაპონია) ფილმისთვის „სამბო-ტრავორე". იყო ცალკე ჯილდოც — ევროპის კინოსა და ტელევიზიის აკადემიის პრიზი, რომელიც გადაეცა ჟაკ დუაიონის ფილმისათვის „ახალგაზრდა ვერტერი".

ალსანიშნავია, რომ „ფორუმზე" ნაჩვენებ ქალბატონ ლანა ღოღობერიძის ფილმს „ვალსი პეჩორაზე" მიენიჭა იღუმენთა კათოლიკური პრიზი, დიდი გამოხმაურება ჰპოვა ოთარ იოსელიანის ფილმმა „პეპლებზე ნადირობა".

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „ვერცხლის დათვი" ათი წლის წინათ ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე დაიმსახურა გიორგი შენგელაიას ფილმმა „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობამ". საქართველო წელს უკვე მეორედ იყო მოხსენიებული საფესტივალო ცნობარებში, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეული" შარშან პირველად წარადგინეს, როგორც „ქართული ფილმი".

— გამაოცა გერმანელმა მაყურებელმა. მართალი გითხრათ, მქონდა გარკვეული შიში იმისა, რომ იქაური მაყურებელი ვერ გაიგებდა რა ხდებოდა ჩვენს ფილმში — თქვა ჩვენთან საუბარში თემურ ბაბლუანმა, — მაგრამ ჩემი შიში არ გამართლდა, მათ უმალ აუღეს ალღო ყველაფერს, დარბაზი ისევე რეაგირებდა როგორც თბილისში, ფილმის დასრულების შემდეგ ტაშს უკრავდნენ. გივი სიხარულიძემ (ჩემს ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს და ჩვენთან ერთად იყო ბერლინში) გვითხრა, რომ „უძინართა მზის" შემდეგ უნახავს ფესტივალის ჟიურის წევრი. რომელიც იჯდა და ტიროდაო. ჟიურიმ ფილმის ჩვენების მერე მოისურვა ქართულ ჯგუფთან შეხვედრა. იქ იყვნენ კრიტიკოსები, რომლებიც იცნობენ ქართულ კინოს, მაგრამ აღნიშნეს, რომ „უძინართა მზე" არღვევს მათ ჩვეულ წარმოდგენას, თუმცა ქართული კინოს ტრადიციას ჩვენს ფილმშიც ხედავდნენ.

ფესტივალი

მოხიბლული დავრჩი გერმანელი ხალხით, მათი ცხოვრების, ურთიერთობის წესით. შეუძლებელია პატივისცემას არ იწვევდეს ერი, რომელსაც შინაგანი დისციპლინა და მაღალი კულტურა აქვს. ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დემოკრატიას და აფასებენ ყველას, ვინც დემოკრატიისათვის იღვწის. მართლაც სანიმუშო ერია. ერთ ასეთ ფაქტს შევესწარი იქ ყოფნისას, ყოფილ კომუნისტ ფუნქციონერს ახალ ქვეყანაში მაღალ თანამდებობას აძლევდნენ და იცით რას პასუხობდნენ ოპონენტებს?! მთავარია, რომ მან თავისი საქმე იცის, ხოლო ჭკვიანი ხალხი ჩვენ დასაკარგი არა გვყავსო. ჩვენ რომ ამ გზით წავსულიყავით ბერლინი ახლა ბეირუთი იქნებოდაო! ეს ხალხი პირდაპირ გულში იხუტებს ერთმანეთს, ერთმანეთისთვის არ იშურებენ ადამიანურ სითბოს და რომ არც უცხოს არჩევენ, ამაში თვითონ დავრწმუნდით.

სხვათა შორის, ბერლინის ფესტივალზე მანჰაიმის კინოფესტივალის დირექტორისგან შევიტყვე ისიც, რომ თურმე იგი ოთხი წელი ითხოვდა მოსკოვიდან ჩემს ფილმს „ბეღურების გადაფრენას" პროგრამაში ჩასართავად. იქიდან კი ჯიუტად პასუხობდნენ, რომ ასეთი ფილმი არ არსებობსო. ამჯერადაც იყვნენ რუსი კინემატოგრაფისტები, რომლებსაც სასტიკად აღიზიანებდათ, მათი არცერთი ფილმი რომ არ მონაწილეობდა ბერლინის ფესტივალზე და სულ ეკამათებოდნენ ფესტივალის ორგანიზატორებს — ფილმების შერჩევას არაობიექტურად ახდენთო. თუმცა იქ იყვნენ რუსები, რომლებიც მთელი სულითა და გულით გვიჭერდნენ მხარს.

ძალიან დიდი იყო ჩვენი ფილმით დაინტერესება, იყო წინადადებები, მოლაპარაკებები და თუ ამან გაამართლა, ტექნიკას და ფირს მაინც შევიძენთ, რაც ასე გვიჭირს. მიწვევები მივიღეთ სან-ფრანცისკოს, პორტუგალიის, ჰონკონგის, მონრეალის კინოდათვალიერებებზე, ყველგან რა თქმა უნდა, ვერ წავალთ, ის ფესტივალი უნდა ამოვირჩიოთ, რომელიც თვითონ დაფარავს ჩვენი მოგზაურობის ხარჯებს.

ბატონ თემურ ბაბლუანთან ბევრი ვისაუბრეთ ფესტივალის გარშემო, აფხაზეთში მიმდინარე ომზეც ვსაუბრობდით ბოლოს და მეც რეჟისორის სიტყვებით მინდა დავასრულო:

— აფხაზეთის ომი მაშინ დაიწყო, როცა პირველად ითქვა: იქ მაცხოვრებელ ქართველებს მიწა არ ეკუთვნითო, გამოსავალი ერთია — მაქსიმალურად უნდა მოვახერხოთ მორიგება ორ მხარეს შორის. მართალია, ამ ომმა დიდძალი მსხვერპლი და ნგრევა მოიტანა, მაგრამ ამის შემდეგ აპარტეიდი გამორიცხულია. აფხაზები თვითონ უნდა მიხვდნენ, ვინ არის მათი ნამდვილი მტერი. ჩვენ კი, რაც უნდა გულნატკენი ვიყოთ, კაცთმოყვარეობამ არ უნდა გვიღალატოს, რომელიც არასოდეს გვაკლდა. ორივე მხარემ ერთგულად უნდა მივდიოთ ძველისძველ ანდაზას: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა".

P. S. 14, 15 მარტს დაგეგმილია საქართველოს ტელევიზიის სპეციალური გადაცემები, რომლებიც ბერლინის 43-ე საერთაშორისო ფესტივალს ეძღვნება, ასე რომ, მოგვეცემა შესაძლებლობა თვალნათლივ დავრწმუნდეთ ყოველივე იმაში, რაზეც ახლა ვწერთ.

* * *

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

კახი ცხადაძე გერმანიაში

ცნობილი ქართველი ფეხბურთელი კახი ცხადაძე ახლახან გერმანიის პოპულარული კლუბის, უეფა-ს თასის ყოფილი მფლობელის მაინის ფრანკფურტის „აინტრახტის" წევრი გახდა.

განვლილ შაბათს „აინტრახტმა" ბუნდესლიგის მიმდინარე ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი მოაწყო სტუმრად ლიდერთან— მიუნხენის „ბაიერნთან" და დამარცხდა — 0:1 (ბურთი მათეუსმა გაიტანა).

ამჟამად ცხადაძის ახალი გუნდი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა.

ქართველ მოკრივეთა 4 მედალი

მოსკოვში დამთავრდა ქალაქის ღია ჩემპიონატი კრივში. რინგზე გამოსულმა ოთხივე ქართველმა მოკრივემ მედალი მოიპოვა.

ჩემპიონები გახდნენ ზურაბ სარსანია (ფოთი) და გიორგი კანდელაკი (გორი), „ვერცხლს" დაეუფლა ზურაბ ფალიანი (მესტია). ხოლო მესამე პრიზიორი გახდა კობა გოგოლაძე (ფოთი).

ჭადრაკის სამყაროში

მოსკოვის ოლქის ქალაქ ნოვოგორსკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ზონალური ტურნირი. საზონათაშორისო ტურნირის ერთადერთი საგზურისათვის იბრძვის საქართველოსა და სომხეთის 5-5 წარმომადგენელი.

წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა ზურაბ სტურუამ და გიორგი ყაჭეიშვილმა, რომლებიც 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ შეჯიბრებას. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ანასტასიანი და ლპუტიანი.

რაგბი

დარჩა 1 ტური

მორაგბეთა პოპულარულ ტურნირზე — „5 ერის თასის გათამაშება" — გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათ შედეგებს: ინგლისი-შოტლანდია — 26:12, უელსი-ირლანდია — 14:19.

დასკვნითი მატჩების წინ 4-4 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელიც ამ დღის ისვენებდა.

შეიქმნა ნანა იოსელიანის სპეციალური ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიაბანკის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა უდიდესი სიხარულით შეიტყო, რომ პრეტენდენტთა მატჩში გაიმარჯვა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ ნანა იოსელიანმა.

ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ახლა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მზადების მთელ პერიოდში, ნანა იოსელიანი ყოველნაირ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას იმსახურებს ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის მხრიდან. საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრიაბანკმა გადაწყვიტა პრეტენდენტთა ტურნირში ჩვენი თანამემამულის გამარჯვებასთან დაკავშირებით შექმნათ მსოფლიო ჩემპიონობისათვის მზადების პერიოდში ნანა იოსელიანის სპეციალური ფონდი. ანგარიში **№ 000700491** „საქინდუსტრიაბანკის" მეთაური ბანკი მფო **№ 521921.**

აღნიშნულ ანგარიშზე ჩვენ უკვე ჩავრიცხეთ 100 ათასი მანეთი.

გთხოვთ გამოეხმაუროთ ჩვენს ამ გადაწყვეტილებას.

ზაალ ბენძეხაძე,
საქართველოს რესპუბლიკის ინდუსტრია ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

იქნებ მომავალ მსოფლიო ჩემპიონს ვეხმარებით!

თელაველი ნორჩი მოჭადრაკე ანა მათნაძე რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა ამ ცოტა ხნის წინათ, გაიცნეს. საქართველოს 1992 წლის პირველობაზე ათ წლამდე გოგონათა შორის მან პირველი ადგილი მოიპოვა. იგივე ასაკის გოგონათა ასპარეზობაზე, რომელიც შარშან, წლის მიწურულს, გაიმართა თბილისში ანა 1993 წლის მსოფლიო პირველობის საგზურის მფლობელი გახდა. ყოველივე ნათლად მეტყველებს, რომ მისი სახით ქართული ჭადრაკის ქალთა სახელოვან სკოლას მეტად მზარდი და პერსპექტიული წევრი შეემატა.

— ნორჩი მოჭადრაკის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის რეგულარულ მონაწილეობას მაღალი რანგის შეჯიბრებებში, — გვითხრა თელავის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ზაალ მაისურაძემ, — ეს კი მნიშვნელოვან თანხებს ითხოვს. სამწუხაროდ, რაიონში არავინ გამოჩნდა, ვინც ითავებს ნიჭიერი მოჭადრაკის დახმარებას...

ზურაბ არსენიშვილი.

მკვდრეთით აღმდგარი „ვაზი და ღვინო"

ქართველი საზოგადოების მხოლოდ ერთმა ნაწილმა თუ იცის, რომ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში დაიბადა და ერთი წლის მანძილზე გამოდიოდა ქართული ჟურნალი — „ვაზი და ღვინო". იგი გამოიცა 1920 წელს, თუმცა, ამგვარი დარგობრივი ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა კარგა ხნით ადრე იყო მომწიფებული.

სამწუხაროდ, 1921 წლიდან შეწყდა ჟურნალის ფუნქციონირება...

და აი, 72 წლის შემდეგ აღსდგა „სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის" ორგანო — ჟურნალი „ვაზი და ღვინო", გამოვიდა მისი პირველი ნომერი.

წელიწადში ოთხი ნომრის გამოსვლაა გათვალისწინებული.

ჩვენი მეტ-ბარის ამბები

საგზაო პოლიციას — ჯავშნიანი ავტომობილი

ახლახან შექმნილი საგზაო პოლიცია ფარი და მახვილი უნდა გახდეს რესპუბლიკის მთავარ ავტომაგისტრალებზე სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებასა და კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღებაში. ამიტომაცაა, რომ მის ჩამოყალიბებას ერთსულოვნად იწონებენ რესპუბლიკაში, გამოთქვამენ სურვილს, მონაწილეობა მიიღონ მისი თანამედროვეობის შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

პირველი ინიციატივა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას ეკუთვნის, რომელმაც პოლიციელებს საჩუქრად გადასცა ახალთახალი ჯავშნიანი ავტომობილი. იგი ბანდიტებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა გია ჩიჩელაშვილმა ავტომანქანის გადაცემისას რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს თედო ნინიძეს აღუთქვა, რომ საგზაო პოლიცია ყველაფერს იღონებს დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის, წესრიგისა და დისციპლინის აღდგენისათვის.

ვეტერანი მფრინავის საზრუნავი

ვეტერანმა მფრინავმა ვახტანგ ინასარიძემ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ, სამოქალაქო ავიაციაში მუშაობისას, ოთხი მილიონი კილომეტრი იფრინა, გადაწყვიტა ქ. წნორის აეროდრომზე აეროკლუბი გახსნა. აქ ახალგაზრდები დაეუფლებიან პარაშუტით დაშვებას, მოტო-დელტაპლანით ფრენას. ეს ყველაფერი ახალგაზრდებს მოამზადებს მედესანტეებად.

ვეტერანი მფრინავის აზრით, სკოლადამთავრებულნი ნებაყოფლობით იმეცადინებენ მანამდე, ვიდრე მათ არმიაში გაიწვევენ. აეროკლუბში გატარებული დრო სამხედრო სამსახურში ჩაეთვლებათ.

აეროკლუბს სპონსორობას გაუწევს კერძო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ათლეტი".

ვახტანგ გოშალიშვილი.

ამინდი

ქინქლობს, მარტი ქინქლობს...

ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსს **ჯემალ დოლიძეს.**

— ბატონო ჯემალ, საქართველოში წელსაც დიდთოვლობა იყო, როგორ იმოქმედა მასზე გაზაფხულის შემოსვლამ?

— თოვლი ბარში მთლიანად დადნა, თუმცა, მთაში კვლავ დიდთოვლობაა, განსაკუთრებით ზემო იმერეთსა და გურია-აჭარის მთებში. ტყიბულში თოვლის საფარის სიმაღლე 130, ხულოში — 140 სანტიმეტრია. გურია-აჭარის მაღალმთიან ზონაში თოვლის საფარის სიმაღლე სამ მეტრს აღწევს, ხოლო კავკასიის მაღალმთიან ზონაში ორ მეტრზე მეტია. ასეთი მძლავრი თოვლის საფარი წყალმოვარდნების დიდ საფრთხეს ქმნის მკვეთრი დათბობისა და თავსხმა წვიმების შემთხვევაში...

— თუა შესაძლებელი ასეთი წვიმების პროგნოზი?

— ძალიან ძნელია...

— უახლოესი დღეების პროგნოზი როგორია?

— უახლოეს ორი-სამი დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში იწვიმებს, მთებში მოთოვს. ტემპერატურა ბარში ღამით 5-10, დღისით 15-20, მთაში ღამით 2-7, დღისით 8-19, მაღალმთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 5-10 სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, მთაში ღამით მინუს 2, პლუს 3, დღისით 6-11 გრადუსი სითბო, მაღალმთაში ღამით 0, მინუს 5, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

ბოლო რამდენიმე წელიწადია, რაც სტიქია ყოველ გაზაფხულზე მძლავრობს და ზვავი, ღვარცოფი, მეწყერი და წყალდიდობა ისე გაგვთელავს ხოლმე, „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა". ამიტომ თვალი არ უნდა მოუხუჭოს ადამიანმა მოსალოდნელ საშიშროებას.

მარტის მაგნიტური დღეები

გთავაზობთ ამ თვის მაგნიტურ, ანუ ავადმყოფთათვის კრიტიკულ დღეებსა და საათებს. ეს დღეები უკვე იყო **პირველ მარტს 8-დან 10 საათამდე. ოთხში — 5-დან 7 ს. რვაში — 7-დან 8 ს. მოსალოდნელია თორმეტ მარტს 8-დან 10 ს. ოცდაორში — 12-დან 14 ს. ოცდარვაში 14-დან 17 საათამდე.**

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

ფეხშიშველა ჟურნალისტები და გაკოტრებული გაზეთები

ოთარ ხუციშვილი

სიმართლე გითხრათ, თავიდან მეუხერხულებოდა კიდევ საჟურნალ-გაზეთო თემაზე ვანო ოქროწონაშვილის შეწუხება (მას თავისი პრობლემებიც ეყოფა). მაგრამ ამ ბოლო დროს საბაზრო ეკონომიკამ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ისე ულმერთოდ შემოგვიტია, რომ სირცხვილი დროებით გვერდზე გავწიე და ბიზნესმენს რამდენიმე კითხვით მივმართე.

— ბატონო ვანო, თქვენი კომერციული ნიჭისა და განსწავლულობის ამბავი რომ ვიცი, ეჭვიც არ მეპარება, ამ საყოველთაო შეჭირვების ჟამს ჟურნალისტებსაც არ დაგვიმადლოთ რჩევა-დარიგებას.

— როგორ გიკადრებათ, ოღონდ რამეში გამოგადგეთ და ჩემი თავი თქვენი ფეშქაში იყოს.

— რაკი დაგვიმადლეთ, ბაზარმა, რომელსაც თქვენ ასე რიგად ალმერთებთ, — „გაზეთჩიკებიც" არ დაგვინდო. გაგიგონიათ, საქართველოში ასობით გამომავალი ჟურნალ-გაზეთიდან ერთსაც ვერ იპოვით, საკუთარი თავის რჩენა რომ შეეძლოს.

— ეგეც ვიცოდი. აბა რა ეგონათ, ვისაც თავი ება და არ ება, გაზეთის გამოცემა რომ დაიწყო, ერთბაშად ყველა ქერის ორმოში აღმოჩნდებოდა? ჩემი ნათქვამი დაიმახსოვრეთ, საბაზრო ეკონომიკა იმის ჩიტი არ არის, ვინმეს თავისი კუთვნილი წილი არ გაადინოს და ცხოვრებ-ქონება ისე მუქთად აჩუქოს.

— რა ვიცი, მაგრამ კი გაგვწურა და?

— რას იზამ, იოლად არაფერი მოდის. როგორ ფიქრობთ, ეგ საქმე რომ მომგებიანი ყოფილიყო, გაზეთის გამოცემას ვინმე დამასწრებდა?

— ყველაფრის მთლად ეგრე გაუფასურებაც არ შეიძლება, ბატონო ვანო. აბა დაუკვირდით, საზოგადოების თვალში სად გაზეთის რედაქტორი და სად კიდევ კომერციული მაღაზიის დირექტორი?

— ეგ ძველი, მეშჩანური თვალსაზრისია. ქართულ კუდაბზიკობას რა ვუთხარი, თორემ გამომძებრი რედაქტორი არც კომუნისტური რეჟიმის პერიოდშიც იდგა მაღაზიის დირექტორზე მაღლა და არც ახლა. განსაკუთრებით დღეს, როცა კაცის ღირსება ით თანამდებობით კი არა, ქონებით იზომება (სხვათა შორის, მე უკვე მილიარდერი ვარ), ვერ გამიგია, გაზეთის რედაქტორმა თავი რით უნდა წამოაჭაროს?

ისეც არ იყოს, ბატონო ოთარ, თქვენ რატომღაც გავიწყდებათ, რომ კაკლიანის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორიც გახლავართ და კომერციული საქმიანობის პარალელურად დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ვეწევი.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო ვანო, ეტყობა ჩემდაუნებურად პატივმოყვარეობა გაგიღიზიანეთ. ალბათ, სჯობდა კითხვა პირდაპირ დამესვა: რატომ მიდის ჩვენი საქმე ყოველდღიურად უკან-უკან?

— საქმე არ იცით და იმიტომ: რა თქმა უნდა, ამაში ვგულისხმობ არა საგაზეთო მასალებს, რეპორტაჟებისა და ინტერვიუების მომზადებას, არამედ სუფთა კომერციულ მოღვაწეობას, რაც ბევრ ჩვენს რედაქტორს ინდურ ხურმად ეჩვენება. ერთი იმათგანი ამას წინათ გაკვირვებული შემომჩიოდა. მშვენიერი გაზეთი მაქვს, ხელმომწერიც ბლომად მყავს და ტირაჟიც უთვალავი მაქვს, მაგრამ მოგების ნაცვლად სულ უფრო ვკოტრდებიო. მე გულში ჩამეცინა, თქმით კი არაფერი მითქვამს.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, არ უნდა გაკვირვებოდა?

— არა. კაცმა რომ თქვას, ამას რა კომერცია უნდა. ახლანდელი ინფლაციის პირობებში, როცა ქაღალდის ფასი და საფოსტო მომსახურების ხარჯები ყოველდღიურად იზრდება, ხელმომწერს, რომ შარშანდელი ფასებით მთელ წელიწადს გაზეთს გაუგზავნით, გაკოტრდებით, აბა, რა დაგემართებათ? თქვენ, ეტყობა, ძველ ქარგაზე აზროვნებთ, როცა ქაღალდი მუქთა გქონდათ და ტირაჟს მაღლა-მაღლა ერეკებოდით. დღევანდელ პირობებში, ჩემო კარგებო, ტირაჟიც წამგებიანია და ხელმომწერიც.



— მაღაზიაში ეს პრობლემა ალბათ, არასოდეს გექნებათ, არა?

— რა თქმა უნდა, არა. ჩემი საქმე ყოველთვის შემოსავლიანია. საბაზრო თვალსაწიერის კვალობაზე ფასებს ყოველდღიურად ვზრდი და მოგებაც გარანტირებული მაქვს. კარგი შვილია და, ხმა გამცეს ვინმემ, ჩემ ქონებას როგორც მინდა ისე გავყიდი!

— ამას ზოგიერთი რედაქციაც აკეთებს, გაზეთს ფასს კვირაში ორჯერ მაინც უმატებს.

— ესეც არ უშველის. მერწმუნეთ, დღეს ვინც გაზეთს 15-20 მანეთად ყიდის, ისიც ვალებში იხრჩობა, აი, ას მანეთს თუ დაადებენ, შეიძლება რაღაც მოიგონ, მაგრამ საკითხავია, ვინ იყიდის?

— გააჩნია შიგ რას დაწერ. დაკვირვებული ვარ, ვინც მთავრობას აგინებს, ის გაზეთებს მეტ ფასად ყიდის. ასე რომ...

— მაგან არ წაგიცდინოთ. ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ხალხი უბრალოდ დანატრებული იყო მთავრობის საწინააღმდეგო აზრს და ეხლა ერთბაშად რომ ნახა, დახარბდა. გაივლის ცოტა ხანი, და მთავრობის ლანძღვა აღარავის დააინტერესებს. წარმოიდგინეთ, თვითონ მთავრობაც მიაჩვევს ყურს გინებას და საწყენად აღარ დარჩება. ასეა, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში და სხვათა შორის ჩვენთან, კახეთშიც.

ასე რომ, გინების იმედად ყოფნა, ვერც ერთ გაზეთს ცხოვრების გარანტიას ვერ მისცემს.

— ვერც სპონსორობა? რა დასამალია, ზოგიერთ გაზეთს თანამშრომლებზე მეტი სპონსორები ჰყავს და თავი ამით გააქვს.

— მე თუ მკითხავთ, არც სპონსორობაზე დაყრდნობა შეიძლება. ჩვენთან, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ეს კეთილშობილური მოძრაობაც ერთგვარ ავადმყოფობად იქცა. ყველა ცდილობს თვითონ საქმე არ აკეთოს და სხვისი მონაგრით იცხოვროს. ასე თუ გაგრძელდა და მესაკუთრემ მთელი ამონაგები თანხა სპონსორობაზე გასცა, მალე თვითონ გახდება სასპონსორო.

— ბატონო ვანო, თუ ყველაფერ ამას ზურგი ვაქციეთ, მაშ რაში ვეძებოთ გამოსავალი?

— მხოლოდ და მხოლოდ კერძო საკუთრებაში. რა დასამალია, ჟურნალისტები ფეხშიშველა, უქონელი ხალხი ხართ, თქვენი თავიც ვერ გირჩენიათ და, აბა, გაზეთს როგორ არჩენთ? ჩვენი რედაქტორების უბედურება სწორედ ის არის, რომ მათგან არც ერთი არ არის მესაკუთრე, ქონების პატრონი. ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი კი, ბიზნესმენი იქნება ის თუ კომერსანტი, უეჭველად მესაკუთრე უნდა იყოს. რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებში გაზეთი მისთვისაც წამგებიანი იქნება, მაგრამ რადგან მისი გამოცემა ითავა, ალბათ იმის საშუალებასაც გამოძებნის, ზარალი შემოსავლის სხვა წყაროებიდან აინაზღაუროს. მარტო გაზეთი კი, რა დასამალია, თავს ვერაფრით დაირჩენს.

— გამოდის, რომ ხელისუფლებას და მთავრობას, ცალკეულ პარტიებს არ შეუძლიათ იქონიონ თავიანთი პრესა?

— რატომაც არა, მაგრამ მათ საამისო სახსრები უნდა გააჩნდეთ. აბა, მითხარით, თუ მთავრობა თვითონაც გაჭირვებულია, გაზეთს რით შეინახავს? ვფიქრობ, ჩვენში სამთავრობო გაზეთის უქონლობა სწორედ ამით უნდა აიხსნას და არა მთავრობის დემოკრატიულობით, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

— ამაში კი ვეღარ დაგეთანხმებით. თუ ყველა გაზეთი მთავრობის, რომელიმე პარტიის ან კერძო მესაკუთრის ხელქვეითი გახდა, დემოკრატიულობა და გაზეთების დამოუკიდებლობა ხომ საპნის ბუშტივით გაგვიქრება?

— სულაც არა. თქვენ წარმოიდგინეთ, გაზეთები დამოუკიდებელ. სიტყვას სწორედ მაშინ იტყვიან, როცა თავიანთი ქონება ექნებათ და სხვისი ხელისშემყურენი აღარ იქნებიან. ეს რომ არა აქვთ, ჩვენი ვითომ დამოუკიდებელი გაზეთებიდან ზოგი წარსულ ხელისუფლებას ელაქუცება. და ზოგიც დღევანდელს, თანაც ერთმანეთში კინკლაობენ, არა მე ვარ მართალი და არა მეო. მე თუ მკითხავთ, არც ერთნი არიან მართალნი და არც მეორენი. მოვა დრო და კერძო საკუთრება, ბიზნესის ინტერესი ყველას და ყველაფერს დააზავებს, ავადმყოფური ვიწრო პარტიული ამბიციებიც თანდათან განიკურნება. ხალხს ცხოვრება-ქონება ჰქონდეს, თორემ ბოლოს და ბოლოს მისთვის სულ ერთი იქნება გაქცეული პრეზიდენტი თეთრი რაშით დაუბრუნდება საქართველოს თუ შინდისფერით.

— დიდი მადლობა, ბატონო ვანო. თქვენ ერთბაშად იმდენ რამეში გამარკვიეთ, რომ აღარც კი ვიცი გაურკვეველი რა დამრჩა.

— კიდევ რომ დაგრჩენოდათ, ვერ გიპასუხებდით. დღეს საზღვარგარეთ მივფრინავ და ყოველი წუთი გამოთვლილი მაქვს.

— ნახვამდის, სარფიან მგზავრობას გისურვებთ.

ცხონება

ზაურ ჯავახიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზაურ ივანეს ძე ჯავახიშვილი.

დაიბადა 1931 წელს, დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიური და ეკონომიკის ფაკულტეტები. 1956 წლიდან მუშაობდა გეოლოგიური დარგის სისტემაში, სადაც განვლო გზა ტექნიკოსიდან საფინანსო-ეკონომიური სამმართველოს უფროსამდე. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა დარგში ეკონომიკური და დაგეგმარების საკითხების სრულყოფის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. იყო 28 სამეცნიერო შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.

ზაურ ჯავახიშვილის ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგების, მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი; საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.

არჩილ შანიძე

ტრაგიკულად დაიღუპა არჩილ შოთას ძე შანიძე.

დაიბადა 1961 წელს. 1978 წელს დაამთავრა თბილისის 102 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — 1983 წლიდან — მუშაობდა თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტში ასპირანტად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობების კათედრის დარგობრივ ლაბორატორიაში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

1992 წლის ოქტომბრიდან ასრულებდა საქართველოს გვარდიის საგანგებო დავალებას სოხუმში და იმყოფებოდა განსაკუთრებული დანიშნულების დაზვერვის სამსახურში. იბრძოდა რა საქართველოს ერთიანობისათვის, მან თავი გამოიჩინა როგორც სამშობლოსათვის თავდადებულმა მებრძოლმა და გონიერმა მეთაურმა.

იყო გულისხმიერი, სამაგალითო მეუღლე და ქალ-ვაჟის მზრუნველი მამა.

ნათელი დაადგეს!

ამხანაგების ჯგუფი.

გიწვევთ კურსებზე

საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას:
1. მკურნალ-მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე;
2. საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე;
3. ხალხური რეწვის შემსწავლელ კურსებზე (ხეზე მხატვრული კვეთა, გრავირება).

კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი.
მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ: ვაჟა-ფშაველას გამზირი 16, მე-12 სართული, 1218 ოთახი.
ტელ.: 37-96-49 — 10-დან 15 საათამდე, 37-30-59 — 10-დან 20 საათამდე.

ფირმა „ოტო-გერმესი" გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას:

საფრანგეთში (პარიზი), 1.04-5.04, კვებით. ფასი 300 ამერიკული დოლარი.
იტალიაში (რომი), 15.04-20.04, კვებით. ფასი 300 ამერიკული დოლარი.
შვეიცარიაში (ციურიხი), 15.04-20.04, კვებით. ფასი 300 ამერიკული დოლარი.
უნგრეთში (ბუდაპეშტი), 20.03-25.03, კვებით. ფასი 190 ამერიკული დოლარი.
მისამართი: თბილისი, ბოცვაძის ქ. № 8, ტელ.: 99-70-60, 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

მრავალდარგოვანი ფირმა „შუამთა" აგრძელებს მიღებას უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ბერძნული, ებრაული, ესპანური, ფრანგული, იტალიური, თურქული) შემსწავლელ კურსებზე ქართულ და რუსულ სექტორებში.

მეცადინეობას ჩაატარებენ უახლესი პროგრამით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებში.

ფირმას შეუძლია თარგმნოს, როგორც ტექნიკური, ასევე ყველა სახის საქმიანი ქაღალდები.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. № 45, სოფლმშენის კორპორაციის 18 სართულიანი შენობის მე-2 სართული.
მეტრო „დელისის" გვერდით.
ტელეფონი: 31-14-06.

მ/ს „განათლება-XX"-თან

იხსნება გიტარის კლასი, სადაც შეისწავლება საესტრადო სიმღერების აკომპანიმენტი, სხვადასხვა რიტმები და ნიუანსები გიტარაზე. გაკვეთილებს წარუძღვება ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მსახიობი ბაჩუკი ბახტაძე.

სწავლა ფასიანია. სწავლის მსურველთა საერთო შეკრება მოხდება ა/წ 19 მარტს (პარასკევს), საღამოს ექვს საათზე. მისამართი: ქ. გამსახურდიას № 44. სასტუმრო „ხიბლი", III სართული.

ცნობებისათვის დარეკეთ: 38-08-14, 95-68-28.

ჯერჯერობით — 5 მანეთი

9 მარტიდან მეტროპოლიტენში მგზავრობის ღირებულება უკვე 5 მანეთი ღირს. როგორც თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ გვითხრა, ეს გამოწვეულია სათადარიგო ნაწილების, წყლის, მოწყობილობის მკვეთრი გაძვირებით. მარტო ელექტროენერგიისათვის, თქვა მან, ვიხდით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულების ნახევარს, რომელიც ჩვენ 12 მანეთი გვიჯდება.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434